საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

შაბათი-ორშაბათი, 5-7 სექტემბერი. 2020 წ. №110 (9036) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ამირან სალუქვაძე: შეწყვიტეთ დეპრესიული სარედაქციო პოლიტიკა, შეწყვიტეთ ყაყან-შოუები

⑤

სალომე ზურაბიშვილი: ლუგარის ცენტრზე თავდასხმა დროულად უნდა გამოვიძიოთ!

ლუგარის ცენტრის წინააღმდეგ განხორციელებული შეტევა, მით უფრო დღეს, პანდემიის პირობებში, როცა ლაბორატორიის როლი უმნიშვნელოვანესია ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის საქმეში, ანტიჰუმანურ აქტად უნდა შეფასდეს, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ლუგარის ლაბორატორიაზე კიბერშეტევის ფაქტთან დაკავშირებით განაცხადა.

„ერთი მხრივ, ეს საქართველოს დაშინების მორიგი მცდელობაა. ასევე, ნიშანდობლივია და მთელ რიგ კითხვებს ბადებს თავდასხმისთვის შერჩეული დრო და ის უსუსური მინიშნებები და მცდელობები, რაც პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით გამოიყენა რუსულმა მხარემ ალექსეი ნავალნის მოწამვლისას გამოყენებული ნივთიერების წარმომავლობასთან დაკავშირებით. მოვუწოდებ ყველა შესაბამის სტრუქტურას, უახლოეს დროში მოხდეს ლუგარის ცენტრზე განხორციელებული თავდასხმის გამოძიება“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ვაჟა ბერიძე: წინ კოშმარული ამბები მოგველის!

⑥

„თუ რომელიმე ძალამ ვერ დააკომპლექტა მთავრობა, უხელისუფლებობის მძიმე პერიოდი დაიწყება“

სააკაშვილს უნდა შევასრულებინოთ პირობა, დავაბრუნოთ საქართველოში და კანონის წინაშე აგოს პასუხი!

④

შეღავათები ფერმერებს

საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური ზიანის შემსუბუქებისა და ეკონომიკის სტიმულირების მიზნით შემუშავებული სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა „ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე“, მელიორაციის კუთხით მნიშვნელოვან შეღავათებს ითვალისწინებს.

ფერმერები, რომლებიც ირიგაციისა და დრენაჟის მომსახურებას 10 ჰა-მდე მიწის ფართობზე იღებენ, 2020 წლის სამელიორაციო მომსახურების გადასახადისგან თავისუფლდებიან. 4 სექტემბრის მონაცემებით, დაწესებული სახელმწიფო შეღავათით ისარგებლა და 2020 წლის სამელიორაციო მომსახურების გადასახადისგან გათავისუფლდა 24 000 აბონენტი. ბენეფიციართა დანაზოგმა 2 955 139 ლარი შეადგინა. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, წყალმომხმარებლებს სრულად ჩამოეწერათ 2020 წლამდე შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ არსებული დავალიანება.

NDI ქართველ ხალხს ბოდიშს უხდის

ორგანიზაციის დამკვირვებლები არჩევნებზე პანდემიის გამო ვერ ჩამოვლენ

„ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) საქართველოში საპარლამენტო არჩევნების დროს, საერთაშორისო დამკვირვებლებს არ გამოგზავნის. ამის მიზეზად NDI-ში პანდემიას ასახელებენ.

როგორც „ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, NDI გამოსცემს შუალედურ ანგარიშს, რომელიც წინასაარჩევნო ანალიზს და ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად მიღებულ ინფორმაციას დაეფუძნება. ასევე, არჩევნებიდან რამდენიმე დღეში NDI მესამე ანგარიშს გამოსცემს.

„წინასაარჩევნო გარემოს შეფასების დეტალურ ანგარიშზე დაყრდნობით, „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) გეგმავს, ყურადღებით შეისწავლოს 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინმსწრები და თანმდევი პროცესები. NDI გააგრძელებს არჩევნებზე დაკვირვებას და ამ პროცესში, საქართველოში მუშაობის მრავალწლიან გამოცდილებას, NDI-ის პრეზიდენტ დერეკ მიტჩელის ხელმძღვანელობით ვირტუალურად ჩატარებულ წინასაარჩევნო ანალიზსა და საერთაშორისოდ აღიარებულ სადამკვირვებლო სტანდარტებს დაეყრდნობა. ამასთანავე, NDI, ტრადიციულად, მჭიდროდ ითანამშრომლებს ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან. სექტემბრის პირველი ნახევრიდან NDI-ის გრძელვადიანი ანალიტიკოსების მისია მუშაობას შეუდგება ისეთ საკვანძო საარჩევნო საკითხებზე, როგორიცაა: საარჩევნო ადმინისტრაცია, პოლიტიკური კამპანიები, გენდერი და ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების ჩართულობა, მედია და დეზინფორმაცია. გრძელვადიანი ანალიტიკოსები, საქართველოში მყოფი თანაშემწეების დახმარებით, დისტანციურ რეჟიმში იმუშავებენ და NDI-ის წინასაარჩევნო ანგარიშში ასახული მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს და სხვა მიმდინარე საკითხებს დააკვირდებიან. NDI გამოსცემს შუალედურ ანგარიშს, რომელიც წინასაარჩევნო ანალიზსა და ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად მიღებულ ინფორმაციას დაეფუძნება. არჩევნებიდან რამდენიმე დღეში NDI მესამე ანგარიშს გამოსცემს, რომელიც არჩევნებამდე ორი კვირით ადრე ვირტუალურ რეჟიმში NDI-ს პრეზიდენტ დერეკ მიტჩელის ხელმძღვანელობით გამართულ მაღალი დონის შეხვედრებს დაეყრდნობა“, — ნათქვამია NDI-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

გიორგი გახარია: კენჭისყრის ასეთი შედეგით დასტურდება ქართული დიპლომატიის წარმატება

მთავრობის მეთაური პარტნიორებს გამოხატული მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე უპრეცედენტო მხარდაჭერით მიიღეს რეზოლუცია იძულებით ადგილნაცვალი პირების შესახებ, რითაც მათი და დევნილების სახლში დაბრუნების უფლება განმტკიცდა. გაეროს რეზოლუციას 84 მხარდამჭერი ქვეყანა და 54 თანაინიციატორი ჰყავს.კენჭისყრის ასეთი შედეგით დასტურდება ქართული დიპლომატიის წარმატება. მადლობას ვუხდი პარტნიორებს მხარდაჭერისთვის“, — აღნიშნავს პრემიერ-მინისტრი.

ნათია თურნავა საქართველოში საუდის არაბეთის ელჩს შეხვდა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა საქართველოში საუდის არაბეთის ელჩს, აბდულა ალ-მუტაირმს შეხვდა. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობისა და სხვა აქტუალური საკითხები განიხილეს.

ამასთან, შეხვედრაზე აღინიშნა ის პოზიტიური დინამიკა, რომელიც ბოლო პერიოდში საქართველოსა და საუდის არაბეთს შორის არსებობს ვაჭრობისა და ინვესტიციების სფეროში. 2020 წლის იანვარი-ივლისის მონაცემებით, სავაჭრო ბრუნვა ქვეყნებს შორის 3-ჯერ, ხოლო ექსპორტი 9-ჯერ, 818 პროცენტით გაიზარდა.

რაც შეეხება თანამშრომლობას ინვესტიციების სფეროში, 2009-2019 წლებში საუდის არაბეთიდან ინვესტიციებმა 100 მლნ აშშ დოლარამდე შეადგინა, ხოლო 2020 წლის პირველ კვარტალში ინვესტიციების ოდენობა საუდის არაბეთიდან წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 25-ჯერ გაიზარდა. ასევე აღინიშნა, რომ ქვეყნებს შორის მიმდინარეობს მუშაობა შეთანხმების პროექტის ტექსტზე ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ.

ამასთან, ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ საქართველო დაინტერესებულია, არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოსთან გაფორმდეს შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. აღინიშნა, რომ მიუხედავად საქართველოსა და არაბული ქვეყნების თანამშრომლობის წევრ ქვეყნებს შორის ბოლო წლებში მზარდი ვაჭრობისა, არსებული პოტენციალი სრულად არ არის გამოყენებული და ორმხრივი ვაჭრობის განვითარების მიმართულებით არსებობს მეტი შესაძლებლობები. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაფიქსირდა საქართველოს ინტერესი არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოსთან მოლაპარაკების პროცესის გააქტიურების შესახებ.

სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე საუბარი წარიმართა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის პოსტზე მომავალი არჩევნების შესახებაც.

„დანაშაულის პრევენციის, პრობაციის და პენიტენციური სისტემების მხარდაჭერა“

გუშინ „დანაშაულის პრევენციის, პრობაციის და პენიტენციური სისტემების მხარდაჭერის პროექტის“ დასკვნითი კონფერენცია გაიმართა. კონფერენცია გახსნეს საქართველოს ვიცე-პრემიერმა, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, ევროკავშირის ელჩმა საქართველოში კარლ ჰარცელმა და ევროკავშირის დანაშაულის პრევენციის, პრობაციის და პენიტენციური სისტემების მხარდაჭერის პროექტის გუნდის ხელმძღვანელმა რანდელ ბაროუზმა.

კონფერენციის მონაწილეებმა პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემებში ევროკავშირისა და ქართული მხარის ერთობლივი ძალისხმევითა და ეფექტიანი თანამშრომლობის შედეგად განხორციელებული ღონისძიებების შედეგებზე ისაუბრეს.

მისასალმებელ სიტყვაში იუსტიციის მინისტრმა პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების თანმიმდევრული განვითარების პროცესში ევროკავშირის დელეგაციასა და პროექტთან ნაყოფიერ, შედეგზე ორიენტირებულ და კონსტრუქციული თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ჩვენთვის ღირებულია ის ხელშესახები სისტემური შედეგები, რომლებსაც ბოლო წლების განმავლობაში მივაღწიეთ. იმედი მაქვს, რომ უკვე არსებულ შედეგებზე დაფუძნებული სამომავლო თანამშრომლობა შესაძლებლობას მოგვცემს, კიდევ უფრო დავუახლოვდეთ უმაღლეს ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს“, — აღნიშნა თეა წულუკიანმა.

ასლან ბჟანია: „პატრიოტთა ალიანსი“ მზად არის აფხაზეთის შემდგომი აღიარებისთვის!

„პატრიოტთა ალიანსი“ მზად არის აფხაზეთის შემდგომი აღიარებისთვის და თანამშრომლობისთვის, — ამის შესახებ გუშინწინ დე ფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ ხაზგასმით აღნიშნა სოხუმში, ე.წ. პარლამენტის დახურულ სხდომაზე.

დახურული სხდომის შესახებ ინფორმაციას რუსული გამოცემა „ეხო კავკაზა“ ავრცელებს. გამოცემის ინფორმაციით, სხდომაზე ვრცლად ისაუბრეს, „პატრიოტთა ალიანსის“ წევრების მიერ ილორის ტაძრისთვის ხატის გადაცემის ფაქტის თაობაზე. დე ფაქტო აფხაზეთის ე.წ პრეზიდენტმა ამ ღონისძიებას ჰუმანიტარული მისია უწოდა და განაცხადა, რომ მსგავსი ქმედება არავისთან შეთანხმებულა.

ამავე სხდომაზე ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ პარლამენტის წევრებმა პრეზიდენტს კითხვა დაუსვეს, რის საფუძველზე გადაწყვიტა ბჟანიამ ქართულ მხარესთან თანამშრომლობა? ბჟანიამ აღიარა, რომ „შეცდომა დაუშვა“, როდესაც 18 აგვისტოს „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერთა ოკუპირებულ რეგიონში ვიზიტი დაუშვა. „ეხო კავკაზას“ ინფორმაციით, დე ფაქტო აფხაზეთის პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ ასევე განაცხადა, რომ “ალიანსის“ წევრებთან მოლაპარაკებები მოსკოვში არაერთ შეხვედრაზე მიმდინარეობდა.

ამავე გამოცემის ინფორმაციით, ბჟანიამ ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრს დაავალა, რომ შეიმუშავოს ხედვა და შემდგომი გეგმები „მეზობელ ქვეყნებთან“ დაკავშირებით. აღნიშნულ შეხვედრაზე 30 ე.წ. დეპუტატი იმყოფებოდა.

შეგახსენებთ, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი ოკუპირებულ აფხაზეთში იმყოფებოდა. მან აფხაზეთში ყოფნის ამსახველი ფოტოები სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა. ფოტოები გადაღებულია 18 აგვისტოს აფხაზეთში, ილორის ტაძარში. მოგვიანებით დე ფაქტო აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ე.წ. პატრიარქმა განაცხადა, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ ჩატანილ ხატს უკან აბრუნებენ, რადგან ქართულ ეკლესიას დე ფაქტო აფხაზეთის ეკლესია არ უღიარებია.

„2020NEWS“-თან საუბრისას საპატრიარქოს პრეს-სპიკერმა, მამა ანდრია ჯაღმაიძემ განაცხადა, რომ ხატის დე ფაქტო აფხაზეთში ჩაბრძანება საქართველოს ეკლესიასთან შეთანხმებული არ ყოფილა და ამიტომ საპატრიარქო კომენტარს არ გააკეთებს.

სადაც სახელმწიფო არსებობს ყველგან კორუფციის პრობლემაა, მათ შორის - საქართველოშიც!

საჯარო სამსახურში კორუფციის თავიდან ასაცილებლად ახალი სახელმწიფო ორგანო შეიქმნება, — ამის შესახებ საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტში უკვე წარდგენილია. წარმოდგენილი პროექტით იქმნება დამოუკიდებელი ანტიკორუფციული ორგანო — ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტო.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე და უმრავლესობის დეპუტატი სოფიო კილაძე „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, რომ ანტიკორუფციული საბჭოს არსებობა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია.

„ეს არის ჩვენი ოპოზიციონერი კოლეგების იდეა და მათ მიერ შემოტანილი ინიციატივა, თუმცა, ზოგადად ეს თემა ანტიკორუფციული სამსახურის შესახებ არის ძალიან მნიშვნელოვანი. გარკვეული პერიოდი მეც ვმუშაობდი ამ საკითხზე. ზოგადად ეს თემა ჩემი ინტერესის სფეროა და მგონია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია. საკანონმდებლო ინიციატივა ახალი შემოსულია, დიდი ცვლილებების პაკეტია და ამ ეტაპზე ვერ მოვახერხე დეტალებს გავცნობოდი, თუ რა ფორმით არის წარმოდგენილი. თუმცა, ზოგადად ანტიკორუფციული სააგენტო რომ უნდა არსებობდეს ქვეყანაში, მე პირადად ამის მომხრე ვარ“, — განმარტავს სოფიო კილაძე.

სოფიო კილაძე თვლის, რომ სახელმწიფო სადაც არსებობს, ყველგან არის კორუფციის პრობლემა და ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნა არ ნიშნავს იმას, რომ ეს საკითხი საქართველოს ხელისუფლების სისუსტეა.

„სახელმწიფო სადაც არსებობს, ყველგან არის კორუფციის პრობლემა, ზოგან მეტად, ზოგან ნაკლებად. მთავარია, რამდენად ადეკვატურად ებრძვის ამას სახელმწიფო. საქართველო სხვადასხვა საერთაშორისო ანტიკორუფციულ რეიტინგებში ბევრგან მოწინავეა და მგონია, რომ ეს სწორედ იმ რეფორმების დამსახურებაა, რომელიც ჩვენმა სახელმწიფომ ბოლო წლების მანძილზე გაატარა. თუმცა, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტი არის საჭირო და ამ კუთხით მგონია, რომ ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნა როგორც ასეთი იქნება ერთ-ერთი გადამწყვეტი ნაბიჯი. თუმცა, ხაზს ვუსვამ, რომ ამ ინიციატივას დეტალურად არ ვიცნობ, ამიტომ კონკრეტულად რა მექანიზმებია ჩადებული, ამაზე ვერაფერს გეტყვით, სანამ კარგად არ გავეცნობი“, — განაცხადა სოფიო კილაძემ.

პაკეტი მოცულობითია, 30 კანონისგან და რამდენიმე ასეული გვერდისგან შედგება. მასში მაქსიმალურად არის დასაბუთებული, რომ ამ რეფორმით რეალურად განხორციელდება როგორც კორუფციული დანაშაულების, ისე თანამდებობის პირების ქონებისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კონტროლი, რაც დღეს ქვეყანაში ან არ არსებობს, ან სელექციურად და არაეფექტურად ხორციელდება.

სააგენტოს თავმჯდომარეს 5 წლის ვადით საქართველოს პარლამენტი აირჩევს. თავმჯდომარეს ეყოლება პირველი მოადგილე და კიდევ ორი მოადგილე. სააგენტო მისი საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს პარლამენტს. კანონპროექტის ავტორები თამარ ჩუგოშვილი, თამარ ხულორდავა, ირინე ფრუიძე, ნინო გოგუაძე, დიმიტრი ცქიტიშვილი და „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ არიან.

საელჩო კიბერ-შეტევაზე: აშშ გმობს ამ უგუნურ და საშიშ თავდასხმას

საქართველოში აშშ-ის საელჩო **უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ ჯანდაცვის სამინისტროს კომპიტერულ სისტემაზე განხორციელებულ კიბერშეტევაზე შეშფოთებას გამოთქვამს და აქტს უგუნურსა და საშიშს უწოდებს.**

საელჩო აღშფოთებულია ცნობით კიბერშეტევის შესახებ, რომელიც 1 სექტემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპიუტერულ სისტემაზე განხორციელდა. ეს უპასუხისმგებლო ქმედება მიზნად ისახავდა მართლსაწინააღმდეგო წვდომის მოპოვებას პანდემიის მართვასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც დაცულია სამინისტროსა და მისი სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის, რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის მონაცემთა ბაზებში.

COVID-19 პანდემიის დროს ლუგარის ცენტრმა საქართველოს საპასუხო ქმედებებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ეხმარება რა ქართველ ხალხს ჯანმრთელობის დაცვასა და სიცოცხლის გადარჩენაში.

„ამერიკის შეერთებული შტატები გმობს ამ უგუნურ და საშიშ თავდასხმას. კიბერსივრცის უსაფრთხოება დამოკიდებულია სახელმწიფოთა პასუხისმგებლიან ქმედებაზე. ჩვენ, საერთაშორისო საზოგადოების სხვა თანამოაზრეებთან ერთად შევასრულებთ კიბერსივრცეში სახელმწიფოთა პასუხისმგებლიანი ქცევის საერთაშორისო სისტემის ვალდებულებებს. ჩვენ მათ, ვინც ამ სისტემის მიღმა მოქმედებს, ვალდებულებების შესრულებისა და საზიანო ქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტისკენ მოვუწოდებთ“, — ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებმა ჯანდაცვის სამინისტროზე კიბერშეტევა მიიტანეს, რომლის მიზანი ლუგარის ლაბორატორიის მონაცემთა ბაზებში დაცული სამედიცინო დოკუმენტაციისა და პანდემიის მართვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება და გამოყენება იყო.

შსს-სვე ინფორმაციით, მოპოვებული მასალა ერთ-ერთ უცხოურ ვებ-გვერდზე აიტვირთა და ავთენტიკური დოკუმენტაციის ნაწილთან ერთად, ატვირთულია ფალსიფიცირებული დოკუმენტები, „რომლებიც განზრახ არის გაყალბებული საზოგადოების დაშინების, მათში დაბნეულობისა და უნდობლობის დანერგვის მიზნით“.

მმართველი გუნდის წევრებმა კიბერშეტევაში რუსულ კვალზე ირიბად მიანიშნეს, დაავადებათა კონტროლის ცენტრში კი — ღიად.

ამერიკული სამხედრო ტექნიკა საქართველოშია

საქართველო მრავალეროვნული სწავლებისთვის „ღირსეული პარტნიორი 2020“ აქტიურად ემზადება. წვრთნაში მონაწილე ამერიკული სამხედრო ტექნიკით დატვირთული გემი Ocean Freedom-ი ფოთის პორტში უკვე შემოვიდა. გემიდან ჩამოიტვირთა ამერიკული სამხედრო ტექნიკა — საბრძოლო ჯავშანმანქანები.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ესენია „სტრაიკერი“, ჯავშანმანქანები „ჰამერი“ და ლოჯისტიკური მხარდამჭერი მანქანები და არტილერია, რომელიც ფოთის პორტიდან სენაკში, II ქვეითი ბრიგადის ბაზაზე გადაადგილდა.

ამერიკული სამხედრო ტექნიკა სენაკიდან ვაზიანის მიმართულებით მარშირებით თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალზე 6 და 8 სექტემბერს თვითსვლით გადაადგილდება.

ამერიკული სამხედრო ტექნიკით დატვირთული გემი Ocean Freedom-ი აშშ-დან, ვირჯინიის პორტის ნორფოლკის ტერმინალიდან რუმინეთში, კონსტანცას პორტის გავლით საქართველოში, ფოთის პორტში შემოვიდა, სწავლებაში მონაწილე ქვეყნების პირადი შემადგენლობა კი, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საჰაერო გზით ეტაპობრივად ჩამოდის. სწავლება ოფიციალურად ვაზიანში, IV მექანიზებული ბრიგადის ბაზაზე 7 სექტემბერს გაიხსნება. საქართველო „ღირსეულ პარტნიორს“ უკვე მეხუთედ მასპინძლობს და მასში საქართველოს, აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოს, პოლონეთისა და საფრანგეთის 2700-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას.

ჩვენი მოქალაქეები სამშობლოში ბრუნდებიან

საქართველო კორონავირუსის პანდემიასთან წარმატებული ბრძოლის გამო, ევროკავშირის 10 არაწევრ ქვეყანასთან ერთად კვლავ უსაფრთხო ქვეყნების სიაში რჩება, — ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა განაცხადა.

მისივე თქმით, 23 ათასზე მეტი მოქალაქე დაბრუნდა სამშობლოში და ეს პროცესი კვლავ გრძელდება. ამასთან, როგორც ზალკალიანმა განაცხადა, სექტემბერში 70 ფრენაა დაგეგმილი, მათგან 30 რეგულარული რეისია.

„საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, რომ პანდემიის დაწყების პირველივე დღიდან საქართველოს ხელისუფლებამ უპრეცედენტო ზომები მიიღო ჩვენი მოქალაქეების სამშობლოში დაუყოვნებლივ დაბრუნებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით გარკვეული შეზღუდვები არსებობს, სექტემბერში 70 ფრენა არის დაგეგმილი. აქედან, თითქმის 30 რეგულარული რეისია. ჩვენთვის უმთავრესი ამოცანაა ჩვენი მოქალაქეებისა და ასევე ევროპიდან საქართველოში ჩამოსული მოქალაქეების უსაფრთხოება. როგორ უსაფრთხოდაც მოდიან, ასევე უსაფრთხოდ უნდა წავიდნენ. თქვენ იცით, რომ საქართველო ევროკავშირმა უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეიყვანა. ეს სია ყოველ ორ კვირაში ერთხელ ახლდება.

გუშინ ევროკავშირმა კიდევ ერთხელ განაახლა და საქართველო კვლავ რჩება ამ სიაში ევროკავშირის 10 არაწევრ ქვეყანასთან ერთად. ეს არის აღიარება ჩვენი და ჩვენი ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების, რომელიც საქართველოს კვლავ ტოვებს უსაფრთხო ქვეყნების სიაში“, — განაცხადა დავით ზალკალიანმა.

შეგახსენებთ, საქართველოში გუშინ კორონავირუსის 28 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო 15 გამოჯანმრთელდა. ამ დროისთვის საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების სულ 1 596 შემთხვევაა დადასტურებული. გამოჯანმრთელებულთა საერთო რაოდენობამ 1294 -ს მიაღწია. უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილია საქართველოს 41 მოქალაქე. კორონავირუსით ქვეყანაში 19 პაციენტი გარდაიცვალა. კარანტინში იმყოფება 6 250 მოქალაქე, სავაადმყოფოში ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ კი 239 პაციენტი.

კარლ ჰარცელი: არჩევნების წინ კიბერუსაფრთხოება სერიოზულ საკითხს წარმოადგენს და მას დაცვა სჭირდება

„შეშფოთებული ვარ კიბერშეტევის ფაქტით. იცით, რომ ასეთი ფაქტი შარშან, ოქტომბერშიც იყო და ამას სერიოზულად ვუდგები და სერიოზულად უნდა იყოს აღქმული. ამ ეტაპზე აუცილებელია მტკიცებულებების მოპოვება და მოტივის დადგენა, თუ რატომ განხორციელდა კიბერშეტევა. ვიდრე ეს არ გაირკვევა, მე კონკრეტული წყაროს დასახელებისგან თავს შევიკავებ. ეს კიდევ ერთი შეხსენებაა ქვეყნისთვის, რომ არჩევნების წინ კიბერუსაფრთხოება არის ის თემა, რომელიც ძალიან სერიოზულ საკითხს წარმოადგენს და მას დაცვა სჭირდება“, — განაცხადა საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა.

უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებმა ლუგარის ლაბორატორიასა და ჯანდაცვის სამინისტროს კომპიუტერულ სისტემაზე კიბერთავდასხმა განახორციელეს.

შსს-ს ინფორმაციით, კიბერშეტევა 2020 წლის 1-ელ სექტემბერს განხორციელდა. მისი მიზანი კი ჯანდაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და მის სტრუქტურულ ერთეულებში, მათ შორის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული საგენტოს რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის მონაცემთა ბაზებში დაცული სამედიცინო ხასიათის დოკუმენტაციისა და პანდემიის მართვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება და გამოყენებაა.

როდის გაიხსნება მამისონის უღელტეხილი?!

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი დავით საგანელიძე ამბობს, **რომ ელოდება, როდის გაიხსნება მამისონის უღელტეხილი და ის აუცილებლად უნდა გაიხსნას.**

ინფორმაციისთვის: მამისონის უღელეხილი რუსეთს საქართველოსთან აკავშირებს. მისივე თქმით, რუსეთთან ურთიერთობები უნდა დალაგდეს, რადგან ეს ონის განვითარებისთვისაა მნიშვნელოვანი.

„ველოდები, ერთი სული მაქვს, როდის გადმოვალთ ახალი გზით ონში. ველოდები, როდის გაიხსნება და აუცილებლად გაიხსნება მამისონი და აუცილებლად უნდა გაიხსნას. ჩვენ უნდა დავალაგოთ ურთიერთობა ჩვენს მეზობელ ქვეყანასთან იმიტომ ,რომ ეს გზა ონისთვის და ამ კუთხისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი და ყველაფერს გავაკეთებ თქვენთან ერთად ამისთვის“, — განაცხადა საგანელიძემ ონში კუთხის განვითარების შესახებ საუბრისას.

* * *

საგანელიძე მედიას მისი სიტყვების **არასწორ ინტერპრეტაციაში ადანაშაულებს და ამბობს, რომ კომენტარი კონტექსტიდან ამოგლეჯილი სახით გავრცელდა.**

მისი თქმით, ის ონის კულტურის სახლის ეზოში ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მონუმენტის გახსნის ცერემონიაზე იმყოფებოდა, სადაც ყურადღება გაამახვილა მამისონის გზის მნიშვნელობასა და ონის ულამაზეს რაიონზე, რომელიც, მისი თქმით, გარკვეულწილად ჩიხში აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც ცხინვალისა და მამისონის გზები ჩაიკეტა: **„დღეს ონის რაიონს ტურისტული განვითარების უზარმაზარი პოტენციალი აქვს. ამ მიმართულებით, პირველი ნაბიჯი იქნება ის, რომ მომავალ წელს გაიხსნას საჩხერე-შქმერი-ონის გზა, რომლის იდეის ავტორი ბატონ ბიძინა ივანიშვილთან ერთად, მეც გახლდით. იქვე აღვნიშნე, რომ, ასევე, უნდა ვიფიქროთ ონი-ღები-უშგული-მესტიის ახალი გზის პროექტზე, რომელიც რაჭას სვანეთთან დააკავშირებს და თბილისიდან წამოსული ტურისტი უმოკლესი გზით, რაჭის გავლით მოხვდება სვანეთში.**

ამასთანავე, იმედს გამოვთქვამ, რომ აღდგება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და რაჭაში ისევ ცხინვალის გზით ვივლით. ალბათ, გაიხსნება მამისონის გზაც, რომელიც ჩვენს მეზობელ ქვეყანასთან, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის გაღრმავების საშუალებას მოგვცემს. სწორედ ამის შესახებ ვისაუბრე ონში. ჩემი სიტყვების ნებისმიერი სხვა სახით ინტერპრეტაცია გახლავთ მიზანმიმართული კამპანია და ყველას მოვუწოდებ, თავი აარიდონ მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას“, — აცხადებს საგანელიძე.

სააკაშვილს უნდა შევასრულებინოთ პირობა, დავაბრუნოთ საქართველოში და კანონის წინაშე აგოს პასუხი!

„ქართული ოცნება" ამტკიცებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის" რეიტინგი 12%-ია და არჩევნებამდე ეს მონაცემები კიდევ უფრო დაიკლებს. „ქართული ოცნების" აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ „ნაციონალური მოძრაობა" 12%-ს ინარჩუნებს და პარტიებს შორის მეორე ადგილზე არიან, რაც ძალიან „სამწუხარო რეალობაა".

მან **მიხეილ სააკაშვილის** ბოდიშზეც ისაუბრა და თქვა, რომ ყველა ჩადენილი დანაშაული მას არჩევნების წინ გაახსენდა.

„რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის ბოდიშს, ეს სწორედ მისი ნატურაა, რომელიც არჩევნების წინ იხდის ბოდიშს. 8 წლისთავზე გაახსენდა ის მძიმე დანაშაულები, რომელიც მან ჩაიდინა საქართველოში. ამ დანაშაულთა დიდი ნაწილი დამტკიცებულია ქართული სასამართლოს მიერ და ასევე, სტრასბურგის სასამართლოს მიერ.

„ნაციონალურმა მოძრაობამ" რუსეთს ქვეყნის 20% ჩააბარა და მათ ოკუპაცია გაუფორმა ოფიციალური ხელწერით, ეს ღალატი იყო. ეს და სხვა დანაშაული, მას და მის პარტიას არ უნდა ეპატიოს. ბოდიში არის აღიარება იმ უმძიმესი დანაშაულისა, რომელიც ჩაიდინა მიხეილ სააკაშვილმა და ამაზე პასუხი საზოგადოებას ექნება. თუმცა ესეც არ არის საკმარისი, რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილს უნდა შევასრულებინოთ პირობა, დავაბრუნოთ საქართველოში და მან კანონის წინაშე უნდა აგოს პასუხი", — ამბობს ირაკლი კობახიძე.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** for.ge-სთან აცხადებს, რომ არ გვაქვს სოციოლოგიური დინამიკა, ზუსტად გავარკვიოთ, ვის რამდენი რეიტინგი აქვს. თუმცა ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ნაციონალებს მხრადამჭერები კორონავირუსის შემდეგ მოაკლდა, ხოლო „ოცნების" რეიტინგმა პირიქით — მოიმატა. მეორე მომენტი კი ის არის, რომ ნაციონალებს პოზიტიური დღის წესრიგი და შეთავაზება ამომრჩევლებისთვის არა აქვს და ნელ-ნელა, ამის გამო მას კარგავს. საყვარელიძეს მიაჩნია, რომ პარტიას მიხეილ სააკაშვილიც საქმეს უფუჭებს, რაც „ჩამოვალ-არ ჩამოვალ" ძახილით არის განპირობებული.

„ფაქტია, რომ ნაციონალები ამომრჩეველს რაიმე ახალ დღის წესრიგს ვეღარ სთავაზობენ. მთელი საარჩევნო პროცესი მხოლოდ სააკაშვილის დაპირებაზეა დამყარებული, რომელიც „ჩამოდის", მაგრამ ჯერ ვერ ჩამოვიდა. ამიტომაც ეს ფაქტორი ნაციონალებს ამომრჩევლის ნაწილს თუ უნარჩუნებს, ნაწილს აკარგვინებს. ასევე ამ კორონავირუსმა „ოცნების" რეიტინგი რადიკალურად შეცვალა და გაზარდა, ხოლო ამ ფონზე ნაციონალების რეიტინგმა იკლო. ასევე ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ოპოზიციური პარტიებია. როგორც ვიცით, ნაციონალებს, ევროპელებს „სტრატეგია აღმაშენებელს" ერთი და იგივე ელექტორატი ჰყავთ და ისინი ამომრჩევლებს იყოფენ. ამიტომაც მგონია, რომ ამ არჩევნებზე ნაციონალებს ევროპელები ელექტორატს წაართმევენ. ჩამოუყალიბებელი ამომრჩევლის ხმები კი, რომელსაც „ოცნება" აღარ უნდოდა და შესაძლოა, ფიქრობდა, რომ ხმა ოპოზიციური პარტიისთვის მიეცა და, ეს შესაძლოა, ნაციონალები ყოფილიყვნენ, ახლა სააკაშვილის გააქტიურების გამო, ისევ „ოცნებისკენ" წავა, ან რომელიმე ოპოზიციური პარტიისკენ", — ამბობს საყვარელიძე.

ექსპერტი-პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** კი ამბობს, რომ **„ნაციონალური მოძრაობა" საპრეზიდენტო არჩევნებისგან განსხვავებით უფრო მეტ ხმებს აიღებს. ამის მიზეზად კი იმას ასახელებს, რომ საპარლამენტო არჩევნებზე მოსახლეობა უფრო დადის. გარდა ამისა, ძაბირაძე ფიქრობს, რომ საქმე ისევ ორპოლუსიანი არჩევნებისკენ მიდის. გარკვეული პოლიტიკური ძალების ამომრჩეველი, თუ ის ოდესმე ნეიტრალური იყო, ახლა ნაციონალებისკენ გადაიხრება. ანალიტიკოსი ამბობს, რომ ნაციონალები, ვინმეს მოსწონს თუ არა, მაინც ყველაზე ძლიერი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიაა.**



„სააკაშვილის გამოჩენით „ნაციონალური მოძრაობა" თავის ამომრჩეველს არავითარ შემთხვევაში არ დაკარგავს, პირიქით, მის შენარჩუნებას შეძლებს. თუმცა, მართალია ისიც, რომ ნაციონალები ვერ მიიღებენ იმ ჩამოუყალიბებელი ამომრჩევლის ხმებს, რომლებიც „ოცნებაზე" არიან განაწყენებულები. ეს ხმები ნამდვილად სხვა ოპოზიციურ პარტიებზე გადანაწილდება. რაც შეეხება „ევროპულ საქართველოს" და ნაციონალებს შორის დაპირისპირებას, მე რატომღაც მგონია, რომ პირიქით ნაციონალები შეეცდებიან, რომ ევროპელებს ამომრჩეველი წაართვას. მათი დაპირისპირების რეალური მიზეზიც ეს არის და მგონია, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდება.

ასევე არ არის გამორიცხული, რომ ნაციონალებმა რეიტინგის მომატების მიზნით, სხვადასხვა პოლიტიკური მანიპულაციები დაიწყონ. კარგად ვიცით, ესენი მსგავსი ამბების სპეციალისტები არიან და სხვა მოვლენებს ქვეყანაში პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებენ. ვნახეთ, როგორ ახდენენ ხოლმე გარკვეული ტრაგიკული საქმეების პოლიტკური მანიპულაციებისთვის გამოყენებას. ამიტომაც არ მგონია კობახიძის მოლოდინი გამართლდეს და ნაციონალები გულზე ხელდაკრეფილები დასხდნენ", — ამბობს ძაბირაძე.

ლიკა ბერიკაშვილი

ლაგოდეხში ამბულატორიები ააშენეს, მაგრამ... ვერ ამუშავებენ!

ამბულატორიები, რომელთა მშენებლობაზეც, ჯამში, ლაგოდეხის მერიამ 275 000 ლარი დახარჯა, მუშაობას ვერ იწყებენ.

მშენებლობა 5 თვის წინ დასრულდა, თუმცა შენობებში არ არის არანაირი ინვენტარი და ავეჯი. მოსახლეობას კვლავ ან ამორტიზებულ შენობაში უხდება პირველადი მომსახურების მიღება, ან რაიონულ ცენტრში უწევს წასვლა, რომელიც სოფლებიდან შორს არის. ადგილობრივები თვითმმართველობის უყურადღებობაზე ჩივიან.

„ეს ამბულატორია სულ დაკეტილია. ხანდახან მოდის ხოლმე ერთი ბიჭი და ოთახებს ანიავებს, რომ არ დაინესტოს და არ ჩამოიშალოს. შიგნით, მგონი, არაფერი არ დგას", — ეუბნება „რადიო თავისუფლებას" ნინო ზურაბაშვილი. ის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ თამარიანში ცხოვრობს. შენობა, რომელზეც ნინო გვიყვება, ამბულატორიაა, რომელიც ნინოს სახლის წინ ხუთი თვის წინ ააშენეს. სოფელს ამბულატორია მანამდეც ჰქონდა, მაგრამ ერთოთახიანი, ამორტიზებული და ნგრევის პირას მისული. ექიმი ამ ამბულატორიაში კვირაში მხოლოდ ერთი დღით ჩადის. ადგილობრივ მცხოვრებთა ეს პრობლემა მერიამ გაითვალისწინა და ახალი ამბულატორია ააშენა, თუმცა შენობაში ინვენტარი არ შეიტანა და მისი გახსნა, უკვე 5 თვეა, ვერ ხერხდება, უფუნქციო შენობაში კი ბინა დაიდეს მერცხლებმა.

თამარიანში 700-მდე ადამიანი ცხოვრობს. სოფლის მოსახლეობას იმედი ჰქონდა, რომ, როგორც დაჰპირდნენ, ამბულატორიაში რამდენიმე პროფილის ექიმი იმუშავებდა, მაგრამ ეს დაპირება ჯერ არ შეუსრულებიათ.

„ასე ამბობენ, არ ვიცით, ვინ უნდა შეიტანოს ინვენტარიო. არადა, დაგვპირდნენ, რომ ამ ამბულატორიაში იქნებოდა პედიატრი, გინეკოლოგი და სტომატოლოგი. გაგვიხარდა, რადგან ქალაქის საავადმყოფოში ყოველთვის ვერ მივდივართ და აქ ადგილზე დანიშნულებას მაინც მოგვცემდა ექიმი. ეს ამბულატორია ნამდვილად საჭიროა, მაგრამ რეალურად ის ჯერ არ არის".

თამარიანის გარდა, ახალი ამბულატორიები აშენდა სოფელ არეშფერანსა და მაწიმშიც. საერთო ჯამში, სამი ამბულატორიის მშენებლობა მერიას 275 ათას ლარზე მეტი დაუჯდა, თუმცა მშენებლობის დასრულებიდან 5 თვის შემდეგ არც ერთ სოფელში ამბულატორია არ მუშაობს. შენობებში არ არის არც სამედიცინო და არც სხვა სახის ავეჯი. მოსახლეობა, ვისაც ამბულატორიული მომსახურება სჭირდება, იძულებულია, ქალაქის სამედიცინო ცენტრს მიაშუროს. სოფელი არეშფერანი რაიონული ცენტრიდან — 25, სოფელი თამარიანი კი 14 კილომეტრით არის დაშორებული. ადგილობრივთა ვარაუდით, რომ არა უყურადღებობა, პირველადი სამედიცინო მომსახურების ცენტრები მაშინვე გაიხსნებოდა, როგორც კი მშენებლობა დასრულდა და მერიამ ობიექტები ჩაიბარა.

„მე ასაკიანი ადამიანი ვარ და პირადად ჩემთვის ეს ობიექტი თითქმის ყოველდღიურ საჭიროებას წარმოადგენს. ლაგოდეხი აქედან 14 კილომეტრშია და იქ ყოველთვის ვერ ვახერხებ წასვლას, ტრანსპორტის მიზეზით. ტაქსს ერთ გზაზე სამი ლარი უნდა და მე, პენსიონერმა, ჩემი შემოსავლით წამალიც ვიყიდო და გზაშიც თანხა დავხარჯო, ეს შეუძლებელია. ის, რომ ამბულატორიები ჯერ კიდევ არ მუშაობს, ეს არის უყურადღებობა და სხვა არაფერი", — უთხრა „რადიო თავისუფლებას" დემურ ცერცვაძემ.

ეს არ არის პირველი შემთხვევა კახეთში, როცა კონკრეტული პროექტი შესრულდა, მაგრამ არ მუშაობს. უფუნქციოა თელავის სპორტის სასახლე, ასევე ლაგოდეხში სოციალურად გაჭირვებული ადამიანებისთვის აშენებული უფასო აბანო, სადაც მშენებლობა-აღჭურვაზე 40 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა.

არ მუშაობს ლაგოდეხის მერიის თანადაფინანსებით შექმნილი სამკერვალო და ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი.

გიორგი ალადაშვილი

ამირან სალუქვაძე:

შეწყვიტეთ დეპრესიული სარედაქციო პოლიტიკა, შეწყვიტეთ ყაყან-შოუები

საქართველოს საჰაერო ძალების ყოფილი სარდალი ამირან სალუქვაძე სოციალურ ქსელში თვითმკვლელობებთან დაკავშირებულ სამ ძირითად პრობლემაზე საუბრობს, მათ შორისაა მედიის მიერ ფაქტების არასწორი გაშუქება: „კომერსანტი“ ამირან სალუქვაძის პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

„თვითმკვლელობებთან დაკავშირებით, თავად ამ უბედურების გარდა, კიდევ სამი უბედურება გვჭირს:

1. თვითმკვლელობების არასწორი გაშუქება;
2. თვითმკვლელობის თავისებურებების არცოდნა;
3. წესის აგების ორკესტრირებული მოთხოვნა.

თვითმკვლელობების (სუიციდი უცხო სიტყვაა) გაშუქება

თვითმკვლელობების გაშუქებისას ჩვენი მედიის გარკვეული ნაწილი არღვევს ყველა სტანდარტს. თუკი რაიმე რეკომენდაცია არსებობს განვითარრბულ ქვეყნებში, ყველაფერი უგულებელყოფილია.

ამიტომ, ვინც ამას აკეთებთ, არ ხართ მედია, რადგან არ იცავთ ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს.

როცა არღვევ თვითმკვლელობების გაშუქების რეკომენდაციებს, ე.ი ეწევი მის პროპაგანდას.

დიახ, გარკვეული მედიასაშუალებები ეწევით თვითმკვლელობების და კრიმინალის პროპაგანდას.

როცა ვაკრიტიკებთ თვითმკვლელობების ან კრიმინალის არასწორად გაშუქების გამო, ბრბოზე გათვლილი არგუმენტი აქვთ: **„აბა არ ვილაპარაკოთ?“**

ყველაფერზე უნდა ილაპარაკოთ, ოღონდ საჭირო დროს, მსოფლიო გამოცდილებით დაგროვილი რეკომენდაციების გათვალისწინებით.

როცა საინფორმაციო გამოშვებები კრიმინალურ ქრონიკად გაქვთ გადაქცეული, რასაც არ აკეთებდით მაშინ, როცა თავად წარმოადგენდით ხელისუფლებას, დიახ, თქვენ ეწევით პროპაგანდას.

დასაბუთებას არ მოვყვები, ბევრჯერ გამოვაქვეყნე შედარებისთვის წინა წლების სტატისტიკა, კიდევ გამოვაქვეყნებ. თუმცა, თავადაც იცით, რომ სპეციალურად აშუქებთ ასე. მიზანი პოლიტიკურია – ხალხის გაღიზიანება.

საუბედუროდ, ამ 8 წლის მანძილზე მიაღწიეთ სასურველს, ხალხში შეჰქმენით განცდა, თითქოს კრიმინალმა გაიმარჯვა.

როცა ხელისუფლებაში იყავით, იგივე ხრიკებით, კრიმინალის გაშუქების შეზღუდვით, შეჰქმენით განცდა, თითქოს კრიმინალი დაამარცხეთ.

არადა, სტატისტიკის მიხედვით ყველაზე საუკეთესო წლებში, ყოველ 2-3 დღეში ერთხელ ვინმეს კლავდნენ, ყოველ 2-3 დღეში ერთხელ ვინმეს აუპატიურებდნენ, ყოველდღე ხდებოდა ყაჩაღობის, ძარცვის და ქურდობის 30-40 ფაქტი. თვითმკვლელობათა პირველი აფეთქებაც სწორედ მაშინ მოხდა. იხილავთ ქვემოთ.

სხვათაშორის, გაუპატიურებებზე, ახლანდელი ქალთა უფლებადამცველების ხმა არ გამიგია. არადა საგანგაშო სტატისტიკა იყო. თუმცა, თქვენთვის საგანგაშო ისაა, რითაც პოლიტიკურ ქულებს იწერთ.

რამდენ სტატიას იპოვით ინტერნეტში თვითმკვლელობის შესახებ, ყველა უწყება სიტყვებით: „ბოლო წლებში მკვეთრად იმატა ახალგაზრდებს შორის...“ გახსნი სტატიას, არაფრით დასტურდება, მკვეთრად იმატა თუ არა.

მკვეთრად იმატა ცუდი ამბების გაშუქებამ. შეგნებულად ქმნით დეპრესიულ გარემოს. ამის შესახებ წლებია, ვწერ.

რეკომენდაციები და სტანდარტები მედიამ უნდა დაიცვას მაშინაც კი, როცა თუნდაც თვითმკვლელობის მიზერული ეჭვიც კი არსებობს.

რაღამც თქვენ არ აკეთებთ, მოვიძიებ, რა წესები არსებობს განვითარებულ ქვეყნებში თვითმკვლელობების გაშუქებასთან დაკავშირებით და გამოვაქვეყნებ, თუმცა თქვენ მაინც თქვენსას გააგრძელებთ. დავალება გაქვთ ასეთი.

მოკლედ, დეპრესიული გარემოს შესაქმნელად ძირითადად იყენებენ სამ თემას: სიღარიბეს, კრიმინალს და თვითმკვლელობებს.

ყველაზე იოლად სასპეკულაციო თემებია. აბა დამისახელეთ ერთი რეიტინგული მედია ან გადაცემა, რომელიც ავარიების, კრიმინალის და თვითმკვლელობების პროფილაქტიკაზეა ორიენტირებული?!

ასეთი რამ ქართულ სინამდვილეში არ არსებობს.

თვითმკვლელობა

ვინმეს გინახავთ ნორმალური გადაცემა რეიტინგულ არხებზე, რომელშიც ამ პრობლემის შესახებ კვალიფიციური ადამიანები საუბრობდნენ? თუ ასაუბრებენ ვინმე „სპეციალისტს“, ისეთი დარეტიანებული მოჰყავთ, მის მოსმენაზე სუიციდი თუ არა, სხვა პლანეტაზე გაფრენა მოგინდება.

ეს თემაც, სრულიად შეგნებულად, ვიწროპოლიტიკური ინტერესებისთვის გამოიყენება.

თვითმკვლელობის გაშუქებისას წერენ და ლაპარაკობენ ზედაპირულად... ყოველთვის იგრძნობა, რომ თვითმკვლელის ფსიქოლოგიაზე, ზოგადად თვითმკვლელობაზე წარმოდგენა არა აქვთ.

ჯერ ორიოდე სიტყვით სტატისტიკის შესახებ;

მსოფლიოს ქვეყნებს შორის საქართველოს თვითმკვლელობების მხრივ შუა ადგილი უკავია. 2-3-ჯერ და მეტჯერ უარესი მდგომარეობაა ევროპის წამყვან ქვეყნებში, ბალტიისპირეთში, სკანდინავიაში, აშშ-ში.

ხშირად ვისმენთ სიბრიყვეს, თითქოს სიღარიბეა მთავარი გამომწვევი მიზეზი. ამ დროს, თვითმკვლელობის მხრივ, უამრავ განვითარებულ ქვეყანაში, სავალალო მდგომარეობაა.

ასე რომ, სოციალური პრობლემები არაა თვითმკვლელობის გამომწვევი მთავარი მიზეზი.

ყოველ ერთ თვითმკვლელობაზე, 10-ჯერ და 100-ჯერ მეტი მცდელობის ფაქტი ხდება.

ასევე, საინტერესოა ისიც, რომ თვითმკვლელობის შემთხვევები მეტია მამაკაცებში. ზოგ ქვეყანაში სხვაობა მცირეა, ზოგში კი მამაკაცთა მიერ ჩადენილი თვითმკვლელობები მრავალჯერ აღემატება ქალებს. ჩვენთან 3-5-ჯერ მეტი მამაკაცი მიდის თვითმკვლელობამდე.

საინტერესოა თვითმკვლელობათა სტატისტიკასაც გადავხედოთ:

2009 – 188; 2010 – 113; 2011 – 293; 2012 – 315; 2013 – 312; 2014 – 382; 2015 – 400; 2016 – 469; 2017 – 361; 2018 – 390; 2019 – 390.

ეს მონაცემები ღია წყაროებიდანაა აღებული, კერძოდ „ნეტგაზეტადან“ და opendata.ge-დან, თუმცა სანდოობაზე თავს ვერ დავდებ, რადგან შსს თვითმკვლელობების სტატისტიკას ცალკე არ აწარმოებს და არ აქვეყნებს.

ეს ციფრები მართლაც რომ საგანგაშოა. ჩვენ მხოლოდ ავარიებში და თვითმკვლელობებით ყოველ წელს ვკარგავთ, საშუალოდ, 700-800 ადამიანს.

მიზეზები რომ გავარკვიოთ, ყოველი შემთხვევა, მთელი ამ წლების განმავლობაში ინდივიდუალურადაა შესასწავლი და მხოლოდ შემდეგ უნდა გაკეთდეს საერთო ანალიზი.

თვითმკვლელობის უამრავ მოტივზე თუ გამომწვევ მიზეზებზე საუბრობენ, ავადმყოფობით, ფსიქოლოგიური მდგომარეობით დაწყებული, სხვადასხვა გარემოებებით დამთავრებული.

მაგალითად, ეპილეფსიისას თვითმკვლელობის რისკი 2-ჯერ და მეტჯერ მატულობს.

არსებობს გარკვეული სიმპტომები, ნიშნები, რომლებმაც უნდა დააფიქროს ადამიანის ახლობლები, თუ მსგავს ცვლილებებს, სიახლეებს შეატყობენ.

შესაძლოა, ადამიანში უამრავი ცვლილება შევამჩნიოთ, რომლებიც, ერთი მხრივ, აღვიქვათ საგანგაშოდ, მეორე მხრივ, ეს სულაც არ ნიშნავდეს, რომ ის თვითმკვლელობას აპირებდეს.

მხოლოდ ჩამოვთვლი ასეთ ნიშნებს: საუბრები სუიციდის, მისი საშუალებების შესახებ, დეპრესიული განწყობა, უძილობა, იარაღის შეძენა, საყვარელი ნივთების ახლობლებისთვის დარიგება, მოტივაციის დაკარგვა, ნარკოდამოკიდებულება, თვითდაზიანების მიყენება, განწყობის მკვეთრი გაუმჯობესება და სხვა.

ვიმეორებ, ეს ნიშნები ინდივიდუალურია, რთულად ამოსაცნობია და, კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლოა, არაფერს ნიშნავდეს. როგორც წესი, ტრაგედიის შემდეგ ახლობლები უფრო იხსენებენ ამ ცვლილებებს.

საუბრები, თითქოს ძალიან ბედნიერ განწყობაზე იყო, თავს ბედნიერად გრძნობდა და სიცოცხლეს არ გამოესალმებოდაო, არის რეალობას მოკლებული და არაკვალიფიციური. ასეთ ადამიანებს წარმოდგენა არა აქვთ სუიციდურ ფსიქოლოგიაზე.

ერთ შემზარავ ფაქტზე მოგიყვებით, რომელიც სამიოდე კვირის წინ რუსეთის ქალაქ ულიანოვსკში მოხდა. 16 წლის მოზარდმა, თვითმკვლელობის წინ, ღამით, ცულით დახოცა 4 წლის ტყუპი და-ძმა, რომლებიც არ უყვარდა, რადგან სხვა მამისგან იყო, დედა, ბებია და ბაბუა.

დატოვებულ წერილში მოზარდი წერდა, რომ ბებია და ბაბუა უყვარდა, არ უნდოდა მათი სიკვდილი, მაგრამ მოკლა, რათა მათ არ ენერვიულათ მისი თვითმკვლელობის გამოო.

წარმოგიდგენიათ მისი აზროვნება, საყვარელ ბებიას და ბაბუას თავები გაუჩეხა იმის გამო, რათა მათ არ ენერვიულათ?! ამიტომ, თვითმკვლელობების შესახებ სიღრმისეულად ფსიქოლოგებმა, სოციოლოგებმა უნდა ისაუბრონ. იმედია, გვყავს ასეთი სპეციალისტები. ბოლოს და ბოლოს დიმიტრი უზნაძის ქვეყანა ვართ...

წესის აგების მოთხოვნა

ახლა ყველაზე დიდ უწიგნურობას მივადექით. უკვე მერამდენედ ვიხილეთ ორკესტრირებული კამპანია, ეკლესიაზე ზემოქმედება წესის აგების მოთხოვნით.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულების დიპლომი რომ უდევს ჯიბეში ადამიანს, იმდენი ხომ უნდა შეეძლოს, რომ სანამ რაიმეს წარმოსთქვამს ან დაწერს, ჯერ (წა)იკითხოს?!

როგორ შეიძლება რელიგიურ თემას შეეხო, თუ ვერ ერკვევი? ნუთუ იმდენსაც ვერ ხვდები, რომ ამით შეურაცხყოფ რელიგიას, მის წესებს, შესაბამისად – მრევლს?!

ეკლესიაა პასუხისმგებელი წესის აგების გადაწყვეტილებაზე. ორთავე შემთხვევაში, თუ ქრისტეს მოძღვრების დარღვევით წესს აუგებს ან ეკუთვნის და არ აუგებს, მთელ სიმძიმეს ეკლესია იღებს თავის თავზე.

მოძღვრება გვეუბნება, ადამიანს ყველაფერი შეიძლება ეპატიოს სულიწმინდის გმობის გარდა. თვითმკვლელობა სულიწმინდის გმობად ითვლება.

ადამიანს უფალმა არგუნა სიცოცხლე და მას არა აქვს უფლება უფლის ნების წინააღმდეგ წავიდეს.

თქვენ ითხოვთ, მერე რა რომ სულიწმინდა დაგმო, დიდი საქმე, აუგეთ წესი, რა მოხდება?

ალბათ, წესის აგება სარიტუალო მომსახურების ერთ-ერთი სახეობა („სერვისი“) გგონიათ?!

თუ არ გესმით, არ გყავთ მოძღვარი, ვისაც შეიძლება ჰკითხოთ, შეეკითხეთ ნაცნობ მღვდელმსახურს, ან მოიძიეთ ინტერნეტში...

თუ თვითმკვლელობა დადასტურებულია და არ არსებობს გარემოებები, მაგალითად ფსიქიკური აშლილობა, ან გაუსაძლისი პირობები, რამაც ადამიანი აქამდე მიიყვანა. მაგალითად, თუ წაიკითხავთ პაოლო იაშვილის შვილისადმი დაწერილ წერილს, მიხვდებით რატომ მიიღო ეკლესიამ, სიკვდილის შემდეგ, წესის აგების გადაწყვეტილება.

ეკლესია ინდივიდუალურად იძიებს ყოველ ცალკეულ შემთხვევას და ისე იღებს გადაწყვეტილებას.

თუ ადამიანს არ ეკუთვნოდა და ეკლესიამ წესი აუგო, ამით მის სულს კიდევ უფრო ამძიმებენ.

ამ სიტუაციაში ახლობლებს რჩებათ ერთი გზა, მეტი ილოცონ გარდაცვლილის სულის გადასარჩენად.

ასე მიიჩნევს ჩვენი ეკლესია. თუ გწამთ, ასეა. თუ არა, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს?!

წლებია, მოგიწოდებთ და ვიცი, მაინც არ შეისმენთ, მაგრამ ვალს მოვიხდი და დავწერ: შეწყვიტეთ დეპრესიული სარედაქციო პოლიტიკა, შეწყვიტეთ ყაყან-შოუები, მოსახლეობის დასტრესვა. ამით არა მხოლოდ პოლიტიკურ ოპონენტებს, თქვენს ახლობლებსაც აზიანებთ, ოღონდ შედეგებს უცებ ვერ იგრძნობთ.

ვაჟა ბერიძე:

წინ კოშმარული ამბები მოგველის!

„ყველა შემთხვევაში, ოპოზიციის გამარჯვება გულისხმობს საქართველოში და ხელისუფლებაში სააკაშვილის დაბრუნებას, სახელითა და გვარით გრიგოლ ვაშაძე ერქმევა საakაშვილს, ნიკა მელია, თუ ნებისმიერი სხვა პოლიტიკოსი ნაცმოძრაობიდან, ამას მნიშვნელობა არ აქვს“, — აცხადებს ცნობილი ანალიტიკოსი **ვაჟა ბერიძე**.

— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებას არჩევნების ჩასატარებლად ასეთი ხელსაყრელი პერიოდი კიდევ ექნება? ჩვენ გამოვიარეთ კორონაპანდემია, რომელიც ეფექტურად დაძლია ამ ხელისუფლებამ და ექიმების წარმატებაც ამ ხელისუფლების ეფექტურობის ყულაბაში ჩაითვალა; ასევე, მმართველი გუნდისთვის ხელსაყრელი დროა იმის გამოც, რომ ოპოზიცია დაქსაქსულია, მათ საერთო კანდიდატებზე შეჯერებაც ვერ მოახერხეს. მართლაც, „ქართული ოცნების“ შანსები მაღალი იქნება ამ არჩევნებზე?

— უპრობლემო ნამდვილად არ არის მომავალი არჩევნები ხელისუფლებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე, ამ ეტაპამდე ხელისუფლება კორონაპანდემიას ეფექტურად გაუმკლავდა, რაც ექიმების დამსახურება იყო, რომელთაც ხელისუფლებამ სწორი და სათანადო მოქმედების საშუალება მისცა. ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა ძირითადად კორონავირუსთან ბრძოლის ამ მიდგომას მხარს უჭერს, ეთანხმება, თუმცა, არის ადამიანთა საკმაო ნაწილი, რომელიც მიიჩნევს, რომ დრაკონული მეთოდებით პანდემიის ალაგმვა ქართულ ეკონომიკას ანადგურებს. ამ წარმატების მიუხედავად, მე არ ვიტყოდი, რომ ხელისუფლებას წარმატება ოქტომბერშიც გარანტირებული აქვს. სიტუაცია ნებისმიერ დროს შეიძლება სწრაფად შეიცვალოს. თუ შევხედავთ სოციოლოგიური კვლევების შედეგებს, რომელთა მიმართ საქართველოში აშკარად არ არის ნდობა, ჩვენ არ გვყავს დამოუკიდებელი, ავტორიტეტული, ობიექტური, საზოგადოების მიერ აღიარებული სოციოლოგიური კვლევების ჯგუფი. სავარაუდოდ, ხდება სათანადო მეთოდიკების არასწორი გამოყენებაც, შეკითხვების არასწორი ფორმულირებაც, მაგრამ, თუ დავუშვებთ, რომ ეს კვლევები ძირითადად სწორად ასახავს ქართული საზოგადოების განწყობას, მაშინ საარჩევნო რბოლის ლიდერი მაინც მმართველი პარტიაა.

მიუხედავად იმისა, რომ სხვაობა „ქართულ ოცნებასა“ და მთავარ ოპოზიციურ ძალას — „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შორის ფაქტობრივად ორი ერთზეა, ანუ მხარდამჭერი ორჯერ მეტი ჰყავს „ოცნებას“, ვიდრე „ნაცმოძრაობას“, არითმეტიკული მანიპულაციებით მაინც ცდილობენ, დააჯამონ ყველა დანარჩენი ოპოზიციის მხარდამჭერების რაოდენობა და ოპოზიცია თავს იმხნევებს, რომ ერთიანად უფრო მეტია ოპოზიციის მხარდამჭერი. ამის მიუხედავად, მაინც „ქართულ ოცნებას“ მეტი შანსი აქვს. თუმცა, ვითარება ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს. აქედან გამომდინარე, პრობლემა აქვს თვითონ ხელისუფლებასაც, რომელსაც ოპოზიციურ ფლანგზე ვერ მოუძიებია, საჭიროების შემთხვევაში, კოალიციის შესაქმნელად ერთი-ორი მოკავშირეც კი, რომელთანაც შეძლებდა, შეექმნა კოალიცია, თუკი ვერ მიიღებდა ხმების ნახევარზე მეტს. ეს უკვე სერიოზული პრობლემაა „ქართული ოცნებისთვის“. 40% იქნება თუ ხმების ნახევარზე მეტი, რასაც არ გამოვრიცხავ, საზოგადოების ნახევარზე მეტს კატეგორიულად მიუღებლად მიაჩნია ოპოზიციის მოსვლა ხელისუფლებაში, თუნდაც კოალიციურად. ყველა შემთხვევაში, როგორ ტრიუკებსაც არ უნდა მიმართავდნენ „ევროპული საქართველო“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომ თურმე ისინი დაპირისპირებულები არიან და საakაშვილი და ბოკერია თურმე ერთმანეთს ვერ იტანენ, ეს არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერობით ჩამოყალიბებული ოპოზიციური ფლანგი და, ყველა შემთხვევაში, ოპოზიციის გამარჯვება გულისხმობს საქართველოში და ხელისუფლებაშიც საakაშვილის დაბრუნებას. სახელითა და გვარით გრიგოლ ვაშაძე ერქმევა საakაშვილს, ნიკა მელია თუ ნებისმიერი სხვა პოლიტიკოსი „ნაცმოძრაობიდან“, ეს სხვა არაფერია, თუ არა მიხეილ საakაშვილის მიერ მართული ოპოზიცია.

„თუ რომელიმე ძალამ ვერ დააკომპლექტა მთავრობა, უხელისუფლებობის მძიმე პერიოდი დაიწყება“

— თქვენ ფიქრობთ, რომ ევრონაცები და ნაცები თამაშობენ დაპირისპირებას?

— ეს თამაში ქართული საზოგადოებისთვის არ არის, რადგან ქართულმა საზოგადოებამ ბევრი გამოიარა, დაწყებული 80-იანი წლებიდან. ჩვენს ქვეყანაში არც უსაზღვრო და უანგარიშო პოპულიზმს აქვს გასავალი, არც პოპულისტურ ტალღაზე პოზიციონირებადი ლიდერები არიან ჩვენში მაინცდამაინც რეიტინგულები და არც „აბა, დავამარცხოთ და განვდევნოთ ოკუპანტი რუსეთი“. ასეთი თემები ქართული საზოგადოებისთვის მაინცდამაინც არ არის მისაღები და კრიტიკულ მომენტში ჩვენი საზოგადოება დასვამს კითხვას, ვინ, თუ არა „ქართული ოცნება“?! დღეს ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხია — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მისი მოკავშირეები.

— თუ ჩავხედავთ ამ გამოკითხვებს, „ენდიაი“-ს და „აირაი“-ს რომ თავი დავანებოთ, „ედისონ რისერჩის“ და სხვების მიხედვითაც, 50%-ზე მეტისთვის კატეგორიულად მიუღებელია მიხეილ საakაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ დაბრუნება ხელისუფლებაში.

— ამიტომაცაა, რომ პერიოდულად საakაშვილის ტონალობაში ქუჩის აქციების ნოსტალგია ჩნდება?

— ეს შემთხვევითი არ არის. თუ ოპოზიციამ ვერ მოახერხა აქცენტები ქუჩაში გადაიტანოს, ვითარების დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, ამით არჩევნების შედეგები ეჭვქვეშ დააყენოს და შემდეგ ქუჩიდან დაწოლით და კარნახით მიაღწიოს „ქართული ოცნების“ გაგდებას არენიდან და საკუთარი ზეწოლის ქვეშ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადასვლას, ისე, ფაქტობრივად, დღევანდელ ოპოზიციას არანაირი შანსი არ აქვს. ერთადერთი ძალა, რომელიც ორპოლუსიანი პოლიტიკური ველის მიღმაა, დღეს არის „ლელო“, რომელიც არ მოიაზრება არც ერთ, არც მეორე ალიანსში, რადგანაც ახალია ეს პარტია და ცდილობს, გავლენის მესამე ცენტრად ჩამოყალიბდეს, მაგრამ, ვერც ერთ შემთხვევაში, დარჩენილ დროში ეს პარტია ვერ მოახერხებს ამ ორი მთავარი ძალის საპირწონე გახდეს. პრობლემა ის კი არ არის, „ქართული ოცნება“ დავტოვოთ ხელისუფლებაში თუ არა, არ არსებობს სხვა ძალა, რომელიც მშვიდობიანი, მშვიდი საარჩევნო კამპანიის მეშვეობით შეიძლება საქართველოში მოვიდეს ხელისუფლებაში.

— კოალიციური მთავრობა რეალობაა თუ მითი? და, თუკი რეალობაა, რომელ მხარეს შეიკვრება კოალიცია — ნაცების თუ ქოცების მხარეს?

— მე არ გამოვრიცხავ არც ერთ მხარეს კოალიციური მთავრობის შექმნას. მე ვთვლი, რომ ამომრჩევლის 50%-ს პლუს ერთის მიღების შანსი დღეს საქართველოში არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ აქვს. უკიდურეს შემთხვევაში, ერთადერთი შანსია, თუ ბიძინა ისევ შეაშინებს საქართველოს, მე თუ არა, მოდიან მიშა და მისი მომხრეებიო. ამ შემთხვევაში, ერთადერთი ვარიანტია, რომ შეიძლება 50%-ს გადასცდეს მომხრეების რაოდენობა, როგორც საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მოხდა, მაგრამ ამის შანსიც მცირე მგონია. როგორც ჩანს, მაინც გარკვეული კოალიცია აუცილებელი იქნება, უბრალოდ, პრობლემაა, რომ „ოცნებას“ ჰიპოთეტური მოკავშირენი არ ჰყავს., ის „პატრიოტთა ალიანსთან“ ვერ შეკრავს კოალიციას., ეს გაუგებარი და მიუღებელი იქნება დასავლეთისთვის, რომელიც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია. „ქართული ოცნება“ ვერც „ევროპულ საქართველოსთან“ ვერ შეკრავს კოალიციას, რომელთანაც მას, გარკვეული თვალსაზრისით, გარკვეული ურთიერთობები, განსაკუთრებით კულუარებში ჰქონდა და აქვს, რადგან ეს გაუგებარი და შესაძლოა, კატეგორიულად მიუღებელიც იყოს „ოცნების“ ელექტორატისთვის. ამიტომ ვინლა რჩება? რამდენი ერთი და ორპროცენტიანი პარტია უნდა შევიდეს მომავალ პარლამენტში, რომ იქ მოიკრიბოს ხმების გარკვეული რაოდენობა და დაემატოს „ქართულ ოცნებას“, რაც მას კოალიციის შექმნის საშუალებას მისცემს?

ასეთი მძიმე ვითარებაა სახელისუფლებო ფრთაზე.

რაც შეეხება მეორე ფრთას, აქ რაღაც ეტაპზე თავად პერსონალიების დონეზე თითქოს იყო თანხმობა, როდესაც აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანები — ნინო ბურჯანაძე, შალვა ნათელაშვილი, გრიგოლ ვაშაძე, გიგა ბოკერია იყვნენ ერთად და რაღაც დონეზე თითქოს ჰქონდათ კონსენსუსი, მაგრამ ისინი იმდენად განსხვავებული ადამიანები და პოლიტიკური ძალები არიან, მსოფლმხედველობრივი სხვაობით, სხვადასხვა პლატფორმით, მათ შორის გაუგებრობა ისედაც მოსალოდნელი იყო. თავი დავანებოთ იმას, რომ ქართველები საერთო ენას ვერ ნახულობენ, განსაკუთრებით, კრიტიკულ შემთხვევებში, ზოგჯერ ორ და სამპარტიული კოალიციაც არამყარია. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, ათი პარტია რომ შეიკრიბება, ჯერ ისინი როდის გადაინაწილებენ სამინისტროებს, როდის შეთანხმდებიან პრინციპულ საკითხებზე, ხედვებს როდის შეუთანხმებენ ერთმანეთს, მერე დაიწყება თანამდებობების განაწილება, ბიუჯეტის მეშვეობით ფინანსების გადანაწილება, გავლენიანი ბიზნეს-სექტორების თავის დაქვემდებარებაში გადატანის სირთულეები... **იმდენი კოშმარული ამბავი წარმოიშობა, რომ თვალნათელი გახდება, მმართველობის საპარლამენტო მოდელი საქართველოსთვის ნაადრევი იყო. ამისთვის საქართველო მზად არ არის, მზად არ არის არც ჩვენი პოლიტიკური სპექტრი, არც პოლიტიკური ისტებლიშმენტი, არც პარტიები, რომლებიც მნიშვნელოვანი სუბიექტები არიან საპარლამენტო მმართველობის პირობებში. რომელი პარტიაა, რომელსაც სერიოზული ადამიანური და ფინანსური რესურსი აქვს? საბიუჯეტო დაფინანსება, ფაქტობრივად, არაფერს არ ჰყოფნის და ლიდერების პირად ინტერესთა მიღმა არ მიდის ეს მწირი დაფინანსება. ამ ქვეყნის მთავარი პრობლემა ის არის, რომ ვერც ერთი ბიზნესმენი ვერც ერთ ოპოზიციურ პარტიას ვერ დააფინანსებს, იმწამსვე რეპრესიების ქვეშ აღმოჩნდება. ასე რომ, მთელი რიგი პრობლემებია მომავალი არჩევნების წინ.**

როდესაც ისრაელში მსგავსი სიტუაცია შეიქმნა და გამარჯვებული პარტია ხანგრძლივად ვერ აკომპლექტებდა მთავრობას, პრობლემები შეიქმნა, მაგრამ არც ისე რთული და სერიოზული, რადგან ისრაელის დემოკრატია გაცილებით წინ წასულია, იქ პოლიტიკური სუბიექტები რეალურია, პოლიტიკური სპექტრი გამჭრიახი ადამიანებითაა დაკომპლექტებული და, როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს, შეთანხმდნენ რაღაცაზე. საქართველოში კი, ფაქტობრივად, თუ რომელიმე ძალამ, ან თუნდაც მყარმა კოალიციამ ვერ დააკომპლექტა მთავრობა არჩევნების შემდეგ, აქ უხელისუფლებობის, უმთავრობობის პერიოდი დაიწყება, რომელიც კოვიდპანდემიის და ეკონომიკური ურთულესი პრობლემების პირობებში, შესაძლოა, დამღუპველი აღმოჩნდეს ჩვენი სუვერენიტეტისთვის.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ბაჩალიაშვილის ოჯახი ექსპერტიზის საბოლოო პასუხს გაეცნო

23 წლის თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახი ადვოკატთან ერთად სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ მომზადებულ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას გაეცნო.

ადვოკატ მიხეილ რამიშვილის განცხადებით, ექსპერტიზის დასკვნაში სიკვდილის მიზეზად მედიკამენტებით გამოწვეული ინტოქსიკაცია სახელდება, რაც ამყარებს გამოძიების ვერსიას თვითმკვლელობის შესახებ.

მისივე თქმით, საბოლოო დასკვნაში იგივე ოთხი მედიკამენტია დასახელებული, რაც წინასწარი დასკვნის მიხედვით, გარდაცვლილის ორგანიზმში აღმოჩნდა. ესენია: საძილე, მაღალი წნევის და ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები.

სამედიცინო ექსპერტიზის გარდა სამხარაულის ბიურომ ჩაატარა კვლევაც დნმ-ზე, რითიც უნდა დადგენილიყო, რომ ნაპოვნი ცხედარი ნამდვილად თამარ ბაჩალიაშვილს ეკუთვნოდა. ადვოკატის თქმით, დნმ იდენტურია.

ᲣᲠᲔᲛᲘ ᲒᲐᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ, ᲒᲖᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲡ!

რუსეთის დასავლეთის საზღვრებთან ახალი პრობლემა შეიქმნა — ბელარუსის სახით, რასაც, როგორც ჩანს, არც ბელარუსის ხელისუფლება ელოდა და არც რუსეთის. ბელარუსი — მშვიდი, გაწონასწორებული ცხოვრებით გამორჩეული ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, დამოუკიდებლად არსებობის 30 წლის განმავლობაში, ნაკლებად იქცევდა სხვათა ყურადღებას — საპროტესტო მიტინგებით, მრავალპარტიული და ხელისუფლებასთან დაპირისპირებული გამოსვლებით, დისიდენტებით.

ხელისუფლებამ, მკაცრი ზომების გატარებით, შეძლო ყოველივე აღნიშნულის აღკვეთა და ცხოვრების ისეთ კალაპოტში ჩაყენება, პოლიტიკური დუღილის ნიშანწყალი რომ არ ჰქონდა. ხელისუფლებამ ხალხს მისცა „პური და სანახაობა“, რაც მკაცრი წესრიგის მოთხოვნებთან ერთად, სიმყარისა და სიმშვიდის გარანტად იქცა.

განვლილი 30 წლის განმავლობაში ბელარუსში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, პოლიტიკური პარტიებისა და სხვაგვარად მოაზროვნე პოლიტიკოსების სიჭარბე არ შეინიშნებოდა, რაც იყო, ისიც გაცილებით სუსტი, ვიდრე სხვაგან. ქვეყნის პრეზიდენტი სწრაფად ახერხებდა მათ გაუვნებელყოფას — ზოგს ციხეში უკრავდა თავს, ზოგს აიძულებდა ქვეყნის დატოვებას, რაც დასავლეთისთვის შეუმჩნეველი არ რჩებოდა. მისი მხრიდან იყო ბელარუსის პრეზიდენტისა და ხელისუფლების დამგმობი კრიტიკა, ეკონომიკური სანქციებიც, მაგრამ გაცილებით სუსტი სიძლიერის, ვიდრე დანარჩენი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ.

პრეზიდენტი ლუკაშენკო, დასავლეთის მიერ ევროპის უკანასკნელ დიქტატორად იყო აღიარებული, რასაც ლუკაშენკოც მშვიდად იტანდა და წოდებულების მიმნიჭებელი დასავლეთიც. ევროატლანტიკურ სივრცეს, მიუხედავად ლუკაშენკოს „დიქტატორული“ მიდრეკილებისა, ხიბლავდა მისი „თამაში“, დასავლეთთან, „კეთილი“ დამოკიდებულება, რუსეთთან კინკლაობა, ანტირუსული გამოხდომები. ლუკაშენკოს მიერ გამოცხადებულმა „მრავალვექტორიანულობამ“, ანუ ყველასთან თანაბარი ურთიერთობების ქონამ, მთლად გადარია დასავლეთი — „საჩვენოდ შეიცვალაო ლუკაშენკო“ — იფიქრა მან, რაც ლუკაშენკოს ეშმაკური პოლიტიკის წარმატების შედეგი იყო.

წლების განმავლობაში ახერხებდა ლუკაშენკო მსგავსი თამაშით დასავლეთის მოხიბლვას, ცხადია რუსეთის გაღიზიანების ფონზე. ლუკაშენკომ კარგად იცოდა, რომ რუსეთი არსად წავიდოდა, შეეგუებოდა ვითარებას, არ და ვერ დასჯიდა გათამამებულ, მოხტუნავე კრავს იმის შიშით, ვაითუ არ დავკარგოო. მრავალმხრივ პოლიტიკურ თამაშში გართულმა ლუკაშენკომ ჩათვალა, რომ ყველაზე ჭკვიანია — რუსეთზე და დასავლეთზეც და „თავისუფლების“ ისეთ დასავლურ სივრცეში შეიჭრა, დასავლელებს რომ აგრძნობინა — დადგა ბელარუსის მორჯულების ჟამი.

ბელარუსის მიმართ დასავლეთს ყურადღება არასდროს მოუდუნებია, მაგრამ მიმდინარე წელს, ლუკაშენკოს, რუსეთთან მორიგი გაბუტვის შემდეგ, ჩათვალა რომ ბელარუსი გარდაქმნისთვის მზადაა. დასავლეთში შემუშავებული პროექტის მიხედვით, ბელარუსის საპრეზიდენტო არჩევნები დასავლეთისკენ სრული შებრუნების დაწყების მომასწავებელი უნდა ყოფილიყო. არც ერთ დასავლელს იმის ილუზია არ ჰქონდა, რომ ლუკაშენკო არჩევნებს წააგებდა. ამდენად, არჩევნების შედეგის მიუხედავად, ის (არჩევნები) გაყალბებულად უნდა ჩათვლილიყო, რაც ბიძგს მისცემდა მიძინებული ქვეყნის შიდა და გარეთ არსებულ ძალებს სახალხო მიტინგებისა და გამოსვლებისკენ — საბოლოო ჯამში ლუკაშენკოს ჩამოგდებისკენ.

რუსეთის, ჩინეთის, თურქეთის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის გარდა ბელარუსის არჩევნები გაყალბებულად გამოცხადდა. განსაკუთრებული აქტიურობა იყო და არის ლიტვის, პოლონეთის, უკრაინის მხრიდან. ანტილუკაშენკოს რიტორიკას სიტყვას არ აკლებს ევროკავშირი და აშშ. ორივენი თვლიან, რომ გამარჯვებულის გამოსავლენად ახალი არჩევნებია საჭირო. ლუკაშენკო — დარწმუნებული თავის გამარჯვებაში, არ აპირებს ახალი არჩევნების დანიშვნას. რაც შეეხება რეფორმებს — ის მზად არის ახალი კონსტიტუციის მისაღებად მუშაობის დასაწყებად.

ოფიციალური ბრიუსელი, ხედავს რა ბელარუსის ოპოზიციის უსუსურობას, თავშეკავებით აცხადებს, რომ არ სურს ბელარუსის უკრაინის მსგავს ქვეყნად გადაქცევა და მოუწოდებს ლუკაშენკოს ოპოზიციასთან დიალოგს. თუ რომელთან, ძნელი გამოსაცნობია.

პრეზიდენტობისთვის მებრძოლი ტიხანოვსკაია ვილნიუსშია და იქიდან ელაპარაკება, როგორც ბელარუსებს, ისე ბრიუსელს, ვაშინგტონს, ვილნიუსს, ვარშავას.

დასავლეთის მხრიდან ბელარუსის მიმართ გაკეთებული განცხადებებიდან იკვეთება შემდეგი — ბელარუსის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა. იგივე პოზიცია აქვს რუსეთსაც. მაშ, რა ხდება?

გამოდის, რომ შეთანხმება მიღებულია, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. ძნელია, დაიჯერო დასავლეთის მხრიდან ბელარუსის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, როდესაც შემდეგ ამბებს აწყდები.

პირველი — დაფინანსებას. ბრიუსელმა ბელარუსის ოპოზიციას 53 მილიონი ევრო გამოუყო დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დასაცავად. სინამდვილეში კი ლუკაშენკოსა და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ სხვადასხვა ღონისძიების ჩასატარებლად.

მეორე — ევროკავშირი ფართოდ უღებს კარს ტიხანოვსკაიას საკუთარი მიზნებისა და გეგმების ჩამოსაყალიბებლად. დასავლური მედია, განსაკუთრებით ელექტრონული, ორ კვირაზე მეტია ტიხანოვსკაიასთან ინტერვიუების აღებით არის დაკავებული. ტიხანოვსკაიას ხვდებიან ლიტვის, პოლონეთის, აშშ-ის მაღალი დონის პოლიტიკოსები და დიპლომატები.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ვიზიტად მყოფმა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის პირველმა მოადგილემ სტივენ ბიგანმა შეხვედრა გამართა ტიხანოვსკაიასთან, რის შემდეგ ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ აშშ მხარს უჭერს ბელარუსში დემოკრატიულ ცვლილებებს, ახალი არჩევნების ჩატარებას. რა დავარქვათ ამას, თუ არა საშინაო საქმეებში ჩარევა?

გერმანიის კანცლერმა მერკელმა მადლობა გადაუხადა ლიტვას ტიხანოვსკაიას მასპინძლობისთვის. ლიტვა კი ის ქვეყანაა, რომელიც პოლონეთთან ერთად რანია, ცდილობს საკუთარი პოზიციების განმტკიცებას — როგორც პოლიტიკურის, ისე ტერიტორიულის, თუკი რაღაც არეულობას ექნება ადგილი ბელარუსში.

ზემონახსენებმა ამერიკელმა დიპლომატმა მოსკოვშიც მოაწყო შეხვედრები, მათ შორის რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელ ლავროვთან. მთავარი საკითხი ბელარუსთან მიმართებაში ისევ ყბადაღებული ჩაურევლობა იყო.

ბელარუსის მოვლენები გამეორებაა იმისა, რასაც უკრაინაში ჰქონდა ადგილი 6 წლის წინათ.

ბელარუსი რუსეთისთვის უმნიშვნელოვანესი ქვეყანაა — დასავლეთთან საიმედო, მტკიცე, სანდო საზღვარი. ბელარუსი დასავლეთისთვისაც მნიშვნელოვანი ქვეყანაა — გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. ბელარუსის დასავლურად მორჯულებით ნატოს და აშშ-ს რუსეთის სამხედრო სტრატეგიული ობიექტების სწრაფი განადგურების დიდი შანსი მიეცემათ.

ბელარუსის დაკარგვით დაიკარგება ევრაზიული კავშირი, რუსეთ-ბელარუსის სამოკავშირო ხელშეკრულება. პრობლემები შეიქმნება სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში; უკრაინის მსგავსად, ბელარუსის სამრეწველო გიგანტები, რომლებიც რუსეთის მრეწველობასთან არიან მჭიდრო კავშირში, შეწყვეტენ არსებობას. საბოლოო ჯამში, იმათ ისე გაყიდიან უცხოეთში, როგორც უკრაინაში.

ბელარუსი, რომელმაც არ იცის უმუშევრობა, ინფლაცია, რუსეთთან კავშირის გაწყვეტის მეორე დღესვე გაიგებს ამ „სიკეთეების“ მნიშვნელობას, მაგრამ გვიან იქნება. ლუკაშენკოს „დიქტატურის“ მოშლას უდავოდ მოჰყვება უმუშევრობა, ინფლაცია. ბელარუსის ქარხნებში მომუშავე პერსონალი, რომლის ხელფასი 500-დან 1000 დოლარამდეა, ქუჩაში აღმოჩნდება.

დაპირება, რომელსაც ოპოზიციური საკოორდინაციო საბჭო აკეთებს — თითოეული ბელარუსელი მუშის ფულადი დახმარების გაწევის თაობაზე, დაპირებად დარჩება. ბელარუსი იმ ღატაკ ქვეყნებს შეუერთდება, სადაც „დემოკრატია“ ყვავის, უსაგნო საპარლამენტო ლაქლაქია, პოლიტიკური პარტიები კანონიერი თუ უკანონი გზით ერთმანეთს ექიშპებიან ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად...

გადადგამს ასეთ ნაბიჯს ბელარუსის ხალხი?

სრულიად შესაძლებელია, ვინაიდან მეზობელი დასავლეთის ქვეყნებიდან და ოკეანის გადაღმიდან ისეთ დაპირებებს ახვავებენ, რომ გაუჭირდება თავის შეკავება. ბელარუსის საზოგადოების ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, რომელსაც განათლება პოლონეთში აქვს მიღებული, სიღრმისეულად ვერ აანალიზებს ვითარებას. მას არ ანაღვლებს ეკონომიკის გაუარესება. მისთვის მთავარი ლუკაშენკოს „დიქტატურის“ დამხობაა.

ბელარუსის რევოლუციას პოლონეთში აღზრდილი ახალგაზრდობა ახდენს. ყოველწლიურად, სწავლის საფასურის გადახდის გარეშე, 7-8 ათასი ბელარუსელი სწავლობს პოლონეთში. მათ ტვინებში უკვე ღრმადაა ჩამჯდარი დასავლური „დემოკრატია“. ამ საკითხზე მსჯელობა დღეს უკვე დაგვიანებულია. გუშინ უნდა ეფიქრათ ამაზე ლუკაშენკოს, ბელარუსის სპეცსამსახურებს, სამოკავშირო ხელშეკრულების მეორე მხარეს — რუსეთს. ისე, როგორც ყოველთვის, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან მიმართებაში, რუსეთმა შეცდომა დაუშვა, რაც შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს მისთვის.

რუსეთმა ვერ შეძლო, სალაპარაკო ენა მოეძებნა უკრაინასთან და ბელარუსთან, საკუთარ სისხლთან და ხორცთან. განა ამის შედეგი არ არის ბელარუსის ოპოზიციის განცხადება რუსული ენის განდევნის თაობაზე?

ბელარუსის ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ბელარუსს სხვა ისტორია აქვს, ცხადია რუსეთისგან განსხვავებული და ა.შ. ბელარუსის ოპოზიცია, ხელისუფლების სათავეში მისვლისთანავე, ისეთივე ანტირუსულ რეფორმებს გაატარებს, როგორც უკრაინა.

ყველაფერთან ერთად აშკარაა, უმადურობა, დაუნახაობა, თუმცა არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ სხვაგანაც... ავიღოთ კადაფის ლიბია — ჩრდილო აფრიკის და არა მარტო, წარმატებული სახელმწიფო — უფასო განათლებით, სამედიცინო მომსახურებით, სიმბოლური კომუნალური გადასახადებით, სოციალური შეღავათებით.

„ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო“ — გვმოძღვრავს შესანიშნავი გამოთქმა, მაგრამ მის შინაარსს მაშინ ვწვდებით, როდესაც საქმე გაფუჭებულია. გაფუჭებულის გაკეთებას კი ათეული წლების დაუღალავი შრომა და სახსრები სჭირდება, რაც არცთუ იოლი საქმეა.

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲩᲘᲞᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
პოლიტოლოგი.

ᲚᲣᲙᲐᲨᲔᲜᲙᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს წინააღმდეგ პერსონალური სანქციების დაწესებას არ აპირებს.

„სანქციების წინააღმდეგ უპირველესად გამოვიდა გერმანია, რომელსაც ასევე მხარი დაუჭირეს საფრანგეთმა და იტალიამ“, — განმარტავს გამოცემა. გამოცემა აღნიშნავს, რომ ამ ქვეყნების ლიდერებს ამგვარად სურთ, შეინარჩუნონ ღია არხები დიალოგისთვის. ევროკავშირის ბევრი ქვეყანა, მათ შორის პოლონეთი და ბალტიის ქვეყნები ემხრობოდნენ და მოითხოვდნენ სანქციათა სიაში ლუკაშენკას შეყვანას.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲘ ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲗᲐᲜ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲔᲠᲗᲕᲔᲑᲘᲐᲜ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ჯარისკაცები პოლონეთიდან ლიეტუვაში ჩავიდნენ და ჩაიტანეს ამერიკული სამხედრო ტექნიკა.

როგორც ვილნიუსში აცხადებენ, წვრთნები წინასწარ იყო დაგეგმილი და ბელარუსში არსებულ ვითარებას არ უკავშირდება.

„წვრთნები თავდაცვითი ხასიათისაა და არ არის მიმართული რომელიმე მეზობლის წინააღმდეგ, მათ შორის არც ბელარუსის“, — აცხადებს ლიეტუვის მთავრობა. პოლონეთიდან ლიეტუვაში ამერიკელი სამხედროებისა და მძიმე ტექნიკის გადაყვანა დღეს დაიწყება და ნოემბრამდე გაგრძელდება. ლიეტუვაში სულ ჩავა 500 ამერიკელი ჯარისკაცი და 40 ერთეული მძიმე ტექნიკა. მათ შორის ტანკები და დაჯავშნილი მანქანები.

დიპლომატები თუ ჯაშუშები?

რუსი „შპიონები“ სახლში ბრუნდებიან

აგვისტო რუსი „დიპლომატებისთვის“ საკმაოდ ცუდი თვე აღმოჩნდა. ჯაშუშობის ბრალდებით, ბოლო 30 დღეში, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ჯერ ნორვეგიამ, შემდეგ კი ავსტრიამ გააძევა.

19 აგვისტოს ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსი დიპლომატის ქვეყნიდან გაძევების გადაწყვეტილება გასაჯაროვა. საინტერესოა, რომ მანამდე ოსლოში რუსეთის ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი ნორვეგიის მოქალაქე დააკავეს. ქვეყნის სადაზვერვო სამსახურის განცხადებით, დაკავებული რესტორანში რუსეთის სადაზვერვო სამსახურის თანამშრომელს შეხვდა და ნორვეგიის ფუნდამენტური ინტერესების დამაზიანებელი ინფორმაცია გადასცა. ის ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობდა, რომელიც განახლებადი ენერგიის, ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში მსოფლიოში უმსხვილესი ტექნიკური კონსულტანტია. ნორვეგიული მედიის ინფორმაციით, საქმე ინდუსტრიულ ჯაშუშობას ეხება.

ნორვეგიის შემდეგ რამდენიმე დღეში რუს დიპლომატს ქვეყნის დატოვება ავსტრიამაც მოსთხოვა. საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა განაცხადა, რომ რუსეთის წარმომადგენლის ქცევა არ შეესაბამებოდა ვენის კონვენციის პრინციპებს.

დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ 1961 წლის ვენის კონვენცია მასპინძელ სახელმწიფოს უფლებას აძლევს, ნებისმიერ დროს და მიზეზების ახსნის გარეშე, პირი დიპლომატიური პერსონალიდან პერსონა ნონ გრატად გამოაცხადოს. პერსონა ნონ გრატას სტატუსი არის ერთადერთი მექანიზმი, რომელიც ავტომატურად ქვეყნიდან გაძევებას იწვევს და ის იცავს მასპინძელ ქვეყანას უცხოელი დიპლომატების მიერ ჩადენილი კანონდარღვევებისგან. დიპლომატების გაძევება უკიდურეს ზომად ითვლება და ძირითადად ჯაშუშურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული. ეს არის სწორედ **„საქმიანობა, რომელიც არ შეესაბამება დიპლომატის სტატუსს“.**

ავსტრიული მედია წერს, რომ საქმე ეკონომიკურ შპიონაჟს ეხება. გავრცელდა ინფორმაციაც, რომ წლების განმავლობაში რუსეთი ავსტრიის მაღალტექნოლოგიურ კომპანიაში დასაქმებული ავსტრიელის საშუალებით სადაზვერვო ინფორმაციას იღებდა, სწორედ ამ ამბავშია გარეული გაძევებული რუსი დიპლომატი. საინტერესოა, რომ 2018 წელს ავსტრიამ უარი თქვა, შეერთებოდა ევროკავშირის ქვეყნებს, როცა ყოფილი რუსი ჯაშუშის სერგეი სკრიპალისა და მისი ქალიშვილის მოწამვლის შემდეგ, მათ რუსი დიპლომატები გაძევეს. როგორც ჩანს, კრემლმა ამჯერად ყველა წითელი ხაზი გადაკვეთა.

მხოლოდ ბოლო ერთ წელიწადს თუ გავიხსენებთ, აღმოვაჩენთ, რომ 24 იანვარს ბულგარეთმა ქვეყნიდან ორი რუსი დიპლომატი გააძევა. 5 ივნისს რუს დიპლომატებს ქვეყნის დატოვება ჩეხეთმაც მოსთხოვა. პრეზიდენტ ბაბიჩის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება ქვეყანაში „რიცინის“ შეტანის ისტორიასთან იყო დაკავშირებული. როგორც ამბობდნენ, ამ ნივთიერებით ანტირუსული განწყობების მქონე პრაღის მერის მოწამვლა იყო ჩაფიქრებული. 8 აგვისტოს სლოვაკეთმა შპიონაჟის გამო ქვეყნიდან სამი რუსი დიპლომატი გააძევა.

როგორც ჩანს „კგბ“-ს მემკვიდრე საიდუმლო სამსახურს ასაკი შეეპარა. „ფსბ“-ს მზაკვრულ ჩანაფიქრებს სულ უფრო ოპერატიულად ეხდება ფარდა და ახლა ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ, კიდევ რომელი ქვეყნიდან გაუშვებენ ვითომ რუს დიპლომატებს უკან, მშობლიურ „ლუბიანკაზე“.

გენადი გაგელია

ბეირუთის პორტთან ამონიუმის ნიტრატი აღმოაჩინეს

ბეირუთის პორტთან, სადაც აგვისტოს დასაწყისში ძლიერი აფეთქება მოხდა, 4,35 ტონა ამონიუმის ნიტრატი აღმოაჩინეს. როგორც არმიის განცხადებაშია ნათქვამი, ამჟამად აღნიშნულ საკითხზე სამხედრო ინჟინრები მუშაობენ. განცხადების თანახმად, ფეთქებადი ნივთიერება პორტის შესასვლელში იპოვეს.

ბეირუთის პორტში დამანგრეველი აფეთქება 4 აგვისტოს მოხდა, რასაც 190 ადამიანი ემსხვერპლა, 6000-მდე კი დაშავდა. ქვეყნის ხელისუფლების განცხადებით, პორტში 2 750 ტონა ამონიუმის ნიტრატი აფეთქდა, რომელიც უსაფრთხოების პირობების დაუცველად პორტის საწყობში წლების განმავლობაში ინახებოდა.

შეერთებულმა შტატებმა ფატუ ბენსუდას სანქციები დაუწესა

შეერთებულმა შტატებმა ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართალოს (ICC) მაღალი რანგის მოხელეებს, მათ შორის სასამართლოს მთავარ პროკურორს ფატუ ბენსუდას სანქციები დაუწესა.

აღნიშნულის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ განაცხადა. სანქციები დაუწესდა ასევე ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციისა და თანამშრომლობის განყოფილების ხელმძღვანელს ფაკისო მოჩოჩოკოს.

მაიკ პომპეოს განცხადებით, სანქციების დაწესების გადაწყვეტილება განპირობებულია საერთაშორისო სასამართლოს მცდელობით, მიზანში ამოიღოს ამერიკის მოქალაქეები და არალეგიტიმურად დაუქვემდებაროს ისინი თავის იურისდიქციას.

ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო პროკურორ ფატუ ბენსუდას მეთვალყურეობით იძიებს საქმეს ავღანეთში ამერიკელების მიერ შესაძლო სამხედრო დანაშაულის ჩადენის შესახებ.

პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ივნისში გამოსცა აღმასრულებელი ბრძანება, რომელიც აშშ-ს საშუალებას აძლევს, დაბლოკოს საერთაშორისო სასამართლოს თანამშრომლების აქტივები და არ მისცეს მათ აშშ-ში შესვლის უფლება.

რუსული ენის სტატუსი ოფიციალურად გააუქმეს

უკრაინაში, ოდესის რაიონის ადმინისტრაციულმა სასამართლომ რუსულ ენას რეგიონალური ენის სტატუსი ჩამოართვა. 8 წლის წინ, 2012 წელს ოდესის საკრებულოს გადაწყვეტილებით, რუსულ ენას ქალაქში რეგიონალური ენის სტატუსი მიანიჭეს, თუმცა მას შემდეგ რაც რუსეთმა მოახდინა უკრაინის ტერიტორიის ანექსია და ოკუპირება, უკვე რამდენიმე წელია, დღის წესრიგში აქტიურად დგას სამოქალაქო ჯგუფებისა და პოლიტიკოსების მხრიდან ზემოხსენებული გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით.

ზემოხსენებული გადაწყვეტილება წლების წინ იმ ფონზე იქნა მიღებული, რომ ქალაქის მოსახლეობის 10 %-ზე მეტი შეადგენდა რუსი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს. დღეს საკრებულოს გადაწყვეტილება სასამართლოს დასკვნით არაკონსტიტუციურად გამოცხადდა.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში უკრაინის საკანონმდებლო ორგანოში დარეგისტრირდა კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, რომლის მიხედვითაც უკრაინული აღიარებულია, როგორც ერთადერთ ოფიციალურ ენად ქვეყანაში. 1 სექტემბრიდან ოფიციალურად აიკრძალა სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში რუსულ ენაზე სწავლა-განათლების წარმოება, დაშვებულია მხოლოდ უკრაინული.

თურქეთმა და საბერძნეთმა უნდა მოილაპარაკონ

ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი აცხადებს, რომ თურქეთი და საბერძნეთი ხმელთაშუა ზღვის საკითხზე მოლაპარაკებებს დაიწყებენ.

„თურქეთისა და საბერძნეთის ლიდერებთან ერთად ჩატარებული დისკუსიების შემდეგ, ორივე მოკავშირე თანახმაა, დაიწყოს ტექნიკური მოლაპარაკებები ნატოში კონფლიქტის თავიდან აცილების მექანიზმების შესაქმნელად და ინციდენტებისა და გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. საბერძნეთი და თურქეთი ღირებული მოკავშირეები არიან და ნატო მნიშვნელოვანი პლატფორმაა ყველა იმ საკითხზე კონსულტაციებისთვის, რომელიც ჩვენს საერთო უსაფრთხოებაზე ახდენს გავლენას. მე მაქვს ახლო კავშირი ყველა ჩართულ მხარესთან, რათა ნატოს სოლიდარობის სულისკვეთებით ამ დაძაბულობას გადაწყვეტა მოვუძებნოთ“.

თურქეთი და საბერძნეთი ერთმანეთს ხმელთაშუა ზღვის აუზში არსებულ ბუნებრივ რესურსებზე ედავებიან.

ტაივანის საზენიტო თავდაცვის სისტემებმა ჩინური ავიაგამანადგურებელი საჰაერო სივრცეში შემოჭრის შემდეგ ჩამოაგდეს

სოციალურ მედია, Twitter -ში ვრცელდება სენსაციური კადრები, რომელზეც ამბობენ, რომ ჩინური გამანადგურებელის სუ-35-ის ჩამოვარდნის კადრებია ასახული. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული საბრძოლო თვითმფრინავი ტაივანის საჰაერო თავდაცვის სისტემებმა ჩამოაგდეს. როგორც ადგილობრივი მედია იტყობინება, რუსული წარმოების გამანადგურებელი ტაივანის სრუტესთან პატრულირებდა, რომლის შემდეგაც ქვეყნის საჰაერო სივრცეში პირდაპირ შეიჭრა. პილოტმა კატაპულტირება მოასწრო, თუმცა როგორც ირკვევა, მას სერიოზული დაზიანებები აქვს მიყენებული.

ამ დრომდე არ ვრცელდება ოფიციალური განცხადება ჩინეთისა და ტაივანის ხელისუფლებების მხრიდან. აგრეთვე უცნობია, თუ რა სისტემით იქნა ჩამოგდებული სუ-35-ის ტიპის გამანადგურებელი.

◎ ვერსია

არის ასეთი ვარიანტიც...

ამ დღეებში ინფორმაცია გავრცელდა, რომ, შესაძლოა, „ბორჯღალოსანთა“ თავკაცად 9-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ იაპონიაში გადაბარგებული ახალზელანდიელი მთავარი მწვრთნელის მილტონ ჰეიგის ნაცვლად 35 წლის ალბიონელი სპეციალისტი რორი ტიგი დაინიშნოს.

მას ზურგს საკმაოდ შთამბეჭდავი სარაგბო კარიერა უმაგრებს: მოთამაშე – „გლოსტერი“, „ბრისტოლი“, „გრენობლი“; მწვრთნელი – „სარასენსი“, ინგლისის ნაკრები (უნარების მწვრთნელი), „ბორდო“, „გლოსტერი“ (შეტევის მწვრთნელი).

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული გუნდის მესაჭის ფუნქციას ჯერჯერობით ლევან მაისაშვილი ასრულებს.

კობა კობახიძე

◎ ქომაგის ტრიბუნა

„ბორბლის ნაამბობი“

ტულაში 110 წლის ველოტრეკი ისეა გარემონტებული, თითქოს ახალი აუგიათო, ხოლო ბულგარეთში 12 ასეთი სპორტული ობიექტია.

საქართველოს დედაქალაქში, დიდ დიღომში, ერთადერთი უხეირო ტრეკია, რომელიც თავის დროზე ისე ააგეს, აზრი არავისთვის უკითხავთ, არცერთი სპეციალისტისთვის. სამაგიეროდ, მეგაპოლისის ცენტრში, უზნაძის ქუჩაზე მდებარე უნიკალური ველოსტადიონი, სადაც ძველი გვარდიის თითქმის ყველა ჩვენი ცნობილი ველოსიპედისტი აღიზარდა, სწორედ დიდი დიღმის ტრეკს შეეწირა! აღარაფერს ვამბობთ საბურთალოზე ვასილ მჟავანაძის დროს აგებულ ტალანტთა სამჭედლოზე.

ამასობაში დიდი დიღმის ველოტრეკი კი, რომელიც „ვისოლის“ საკუთრებაა, დალპა და მოუვლელობით დანგრევის პირასაა მისული. სხვათა შორის, ამ სარბიელს ვადა უკვე გაუვიდა და როდის დაიბრუნებს მას მფლობელი, არავინ უწყის, ხოლო თუ არ დაიბრუნებს, ქირას ფედერაციას მოსთხოვს და იგი ფედერაციის გადასახდელი გახდება, ანუ აღნიშნული თანხა სპორტსმენებს მოაკლდებათ.

ომარ ფხაკაძე უმცროსს, დიდი ომარ ფხაკაძის შვილს, ფედერაციის პრეზიდენტობის მეორე ვადა, თუ არ ვცდები, წლეულს ოქტომბერ-ნოემბერში ეწურება, მაგრამ, სამწუხაროდ, რასაც ველოსპორტსა და ველოსპორტსმენებს ჰპირდებოდა, თითქმის არაფერი შეუსრულებია!

სხვათა შორის, ბატონ ომარს, მის მოადგილესა და გენერალურ მდივანს, როგორც ამბობენ, ფინანსური დარღვევებიც აქვთ, თანაც სამივე ითავსებს მწვრთნელობასა და მსაჯობას.

მაგალითად, ტურნირებზე სპორტსმენებს პირადი მწვრთნელების ნაცვლად ფედერაციის თავკაცები ახლავან თან, რაც სტიმულს უკარგავს მათ დამრიგებლებს.

ისიც სათქმელია, რომ ისინი არანაირ ინტერესს არ იჩენენ სპორტის ამ სახეობის მასობრიობისათვის და აგრეთვე არავინ ზრუნავს ნიჭიერი ბავშვების ველოსპორტში მოსაყვანად!

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ მთავარი უკვე ვთქვით!

გოდერძი ქირია

◎ ერთა ლიგა

ბალტიური სტარტი

დღეს ტალინის „ლე კოკ არენაზე“ თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება ერთა ლიგის მეორე გათამაშების C – ლიგის სასტარტო ტურის შეხვედრა ესტონეთი – საქართველო, რომელსაც ლიეტუველი არბიტრი დ. რუმბასი იმსაჯებს (პირდაპირი რეპორტაჟი საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხზე).

ეს მეგობარ მეტოქეთა პირველი ოფიციალური მატჩია – ისინი აქამდე ერთმანეთს ექვსჯერ მხოლოდ ამხანაგურად შეხვდნენ და მინიმალურ უპირატესობას „ჯვაროსნები“ ფლობენ: 3 მოგება, 1 ფრე და 2 წაგება ბურთების ასევე დადებითი შეფარდებით 8:7.

ალბათ, დაგაინტერესებთ, რომ ბალტიისპირელთა კარში გატანილი გოლების ავტორები არიან აშვეთია (2), ჯანაშია, ყენია, კობიაშვილი (პენალტით), სირაძე, ტაბიძე და ყაზაიშვილი.

აღსანიშნავია, რომ დღევანდელ ბრძოლას ორივე გუნდი სოლიდური საკადრო პრობლემებით ხვდება. კერძოდ, სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ითამაშებენ შემდეგი სტუმარ-მასპინძლები: ყაზაიშვილი, კაშია, კიტეიშვილი, დვალი, ნავალოვსკი, გვილია, კუცია, სორგა, ლუტსი, მეერიტსი, იგონინი, პიკი და კლავანი.

ასე რომ, კორონავირუსის პანდემიის გამო ფრიად შელახული სეზონი უმაყურებლოდ, მაგრამ მაინც განახლდება, რაც მრავალ საინტერესოს ჰპირდება გულშემატკივარს.

გიორგი შოთაძე

◎ ლეგიონერი

კლასი ისეთი რამაა...

როგორც ვვარაუდობდით, თორნიკე შენგელიამ დებიუტიდანვე დაიმკვიდრა ადგილი ცსკა-ს სასტარტო ხუთეულში და უპრობლემოდ უშინაურდება როგორც აქამდე უცნობ გარემოს, ისე ახალ პარტნიორებს.

კიდევ უფრო სასიამოვნო ის გახლავთ, რომ არმიელთა 23-ე ნომერმა გამარჯვებებიც გაიხსენა და მოსკოვური გრანდის მაისურით უკვე ზედიზედ სამი ამხანაგური შეხვედრა მოიგო, თანაც ღირსეული პირადი მონაგრით: „რუნასთან“ – 102:67 (14 ქულა, 3 მოხსნა, 4 პასი), მოსკოვის მბა-სთან – 99:63 (9 ქულა, 6 მოხსნა და თითო ჩაჭრა – პასი) და მოსკოვის ოლქის „ხიმკისთან“ – 99:83 (6 ქულა, 5 მოხსნა და 4-4 ჩაჭრა-პასი).

აქვე დავძენთ, რომ გავრცელდა მნიშვნელოვანი ინფორმაციაც: ევროლიგის მოქმედი ჩემპიონის ბერძენმა თავკაცმა დიმიტრის იტუდისმა კორონავირუსი დაამარცხა, ათენიდან მოსკოვში დაბრუნდა და განაცხადა: **„უკვე გამოვჯანმრთელდი და მზად ვარ სამუშაოს შევუდგე. მხარდაჭერისთვის გუნდის ყველა ქომაგს მადლობას ვუხდი. ამ დღეებში მოთამაშეებთან და ასისტენტებთან რეგულარულ კავშირზე ვიყავი, თითოეული ვარჯიში ვნახე და კარგად ვიცი კლუბში არსებული ვითარება.**

მართალია, შენგელია და მილუტინოვი ახალწვეულები არიან, მაგრამ ადაპტაციას სწრაფად ახერხებენ, ამიტომ მათგან ასი პროცენტით დახარჯვას ველით. ორივე ძალიან მოტივირებულია და კარგად ესმით, სად მოხვდნენ და რას წარმოადგენს ცსკა. ორივე მაღალი დონის სპორტსმენია“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ 64

ამაგდარი

I დიაგრამის მიხედვით თეთრები სარგებლობენ გამსვლელი პაიკის სიძლიერით, ხოლო II-ში ლაზიერი აუჩქარებლად უახლოვდება შავ მეფეს და აშამათებს მას.

ველიმირ კალანდაძე - ხილდებრანდის საიუბილეო კონკურსი. შვედეთი საპატიო გამოხმაურება 1989 წ.

I

ველიმირ კალანდაძე „REVISTA DE SAH“ რუმინეთი 1975 წ.

II



ყაიმი **მოგება**

ჩვენი ტრადიციული რუბრიკის უახლოესი გამოშვებები „მცირე“ ფიგურებით შექმნილ ეტიუდებს მიეძღვნება.

ვფიქრობთ, ჭადრაკის ნებისმიერი რანგის მოყვარულს აინტერესებს, თუ როგორ გაჩნდა მსოფლიოში განთქმული ეროვნული საკომპოზიციო სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელთა მიერ „შობილი“ აღნიშნული ნაწარმოებები, რომლებიც უდიდეს სიამოვნებას ანიჭებენ ყველას, ვისაც ბრძენთა თამაში უყვარს.

ამ ეტიუდებში ფიგურათა რაოდენობა ხუთს არ აღემატება და ისინი გამოირჩევიან არამარტო ჩანაფიქრის სილამაზით, რაც ესთეტიკურად გვატკბობს, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობითაც.

ამჯერად გთავაზობთ ქართული საჭადრაკო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის, 1968-1985 წლებში საბჭოთა კავშირის 10(!) პირადი ჩემპიონატის წარმატებული მონაწილის, მრავალი წიგნის ავტორის **ველიმირ კალანდაძის** (1935-2017) ორ ეტიუდს.

საგულისხმოა, რომ დავით გურგენიძისა და ველიმირ კალანდაძის ერთობლივმა ეტიუდმა 1976 წელს პირველი პრიზი დაიმსახურა ისრაელში გამართულ ოლიმპიურ კონკურსში.

თამაზ შენგელია

შენიშვნა: ალექსანდრ ხილდებრანდი დაიბადა 1921 წელს ტალინში. პროფესიით ჟურნალისტმა შვედმა მოჭადრაკემ და საჭადრაკო კომპოზიტორმა 1943 წლიდან გამოაქვეყნა 350 კომპოზიცია.

ნუგზარ ნადარაიას ხსოვნას

მისი ცხოვრება მომავლის იმედითა და სიმხნევით გვავსებდა

ძალზე მტკივნეული და მოულოდნელი იყო **ნუგზარ ნადარაიას** გარდაცვალება. მას ცხოვრებაში ბევრი ქარტეხილის გამოვლა მოუწია, მაგრამ არავის უნახავს ხელჩაქნეული, უიმედო, პირიქით უკანასკნელ წუთამდე დარჩა დაუდგრომელი შემართებისა და მასშტაბური მოღვაწეობის განსახიერებად. მუდამ სიკეთისმთესველი, ჭირსა და ლხინში ადამიანთა გვერდით მდგომი, სიყვარულისა და პატივისცემის გამომხატველი — სწორედ ასე დაამახსოვრდება ყველას, ვისაც წლების განმავლობაში მოუწია მასთან ერთად საქმიანობა და მეგობრობა.

მრავალმხრივი იყო მისი მოღვაწეობა, მაგრამ მრავალთაგან იმით გამოირჩეოდა, რომ, უპირველეს ყოვლისა, იყო სახელმწიფო კაცი, ქვეყნისა და საქმის ერთგული მსახური.

ყველამ როდი იცოდა, რომ ამ ხალისიანი, მუდამ მხნე და ენერგიული კაცის ბავშვობა მწარე მოგონებებთან იყო დაკავშირებული. მშობლები — ოთარ ნადარაია, ცნობილი პარტიული მოღვაწე და დედა რუსუდან გველესიანი, ცნობილი ექიმი — სრულიად ახალგაზრდები გარდაიცვალნენ და პატარა ნუგზარის გაზრდა ბებიებმა ითავეს. ამიტომაც იყო, რომ ადამიანების მიმართ განსაკუთრებულად იცოდა მადლიერების გამოხატვა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, ჯერ კიდევ ახალგაზარდა ნუგზარ ნადარაია აირჩიეს ხობის რაიონის თავკაცად. ამ საპასუხისმგებლო ნდობას მან დიდი შემართებითა და ენთუზიაზმით უპასუხა. პირველი დღეებიდანვე თვალსაჩინო გახდა მისი ორგანიზატორული ნიჭი. ეს ყველაფერი აისახა ხობის რაიონის სოციალ-ეკონომიკურ წინსვლაში. სწორედ აქ გატარებულმა წლებმა მოუტანა მას დიდი სახელი და სიყვარული, რამაც გამოხატულება ჰპოვა მისი მაღალ პარტიულ თანამდებობებზე დაწინაურებაში აჭარაში, შემდგომ საქართველოს პარლამენტში, ქალაქ ფოთის მერად, ეკონომიკის სამინისტროში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დამოკიდებულება და ურთიერთობა კულტურის სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლებთან. ნუგზარ ნადარაიას დიდი წვლილი მიუძღვის მათი ღვაწლისა და ამაგის წარმოჩინებასა და უკვდავყოფაში.

ყველგან, სადაც ნუგზარ ნადარაიას უწევდა საქმიანობა, ხალხის დიდ პატივისცემას, სიყვარულსა და ნდობას იმსახურებდა. წლების განმავლობაში მის მიერ აღზრდილმა კადრებმა თავი გამოიჩინეს სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობისას.

დიდ ყურადღებას იმსახურებს ნუგზარ ნადარაიას, როგორც ფაზისის აკადემიის პრეზიდენტის საქმიანობა. ეს საზოგადოებრივი საქმე სწორედ ნუგზარ ნადარაიამ აქცია ფართო ეკონომიკურ ასპარეზად ასობით ადამიანისთვის საქართველოში. მისი მახვილი თვალით შერჩეული პატრიოტი ადამიანები შემართებით ჩაებნენ დიდი ქართული საქმის კეთებაში. საერთო ნიშანი, რაც ფაზისის აკადემიის მთელ მოღვაწეობას გასდევდა წითელ ხაზად, იყო ქრისტიანული ცხოვრების წესის პროპაგანდა, საქართველოს ისტორიის ანალებში პატიოსანი თვალით ჩახედვა. აკადემია გახდა ნიმუში რელიგიური მოღვაწეობისა და საერთო საქმის ჰარმონიული შერწყმისა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმინდა სინოდის წევრთა უმრავლესობა დიდ პატივს მიაგებდა ნუგზარ ნადარაიას ამ მამულიშვილური ღვაწლისთვის. სასურველია, მისი წამოწყებული საქმე კვლავაც გაგრძელდეს შემდგომი თაობების მიერ.

პირად ცხოვრებაში თავშეკავებული, უაღრესად პატიოსანი და ერთგული ადამიანი გახლდათ. დიდებული, ქართული ოჯახი შექმნა ქალბატონ მანანა ქორიძესთან ერთად. მისი ამ ქვეყნიდან წასვლა დიდი დანაკლისია ვაჟის ოთარისა და მისი ოჯახისათვის, მთელი სანათესაოსთვის.

ჩვენ, მისმა მეგობრებმა და კოლეგებმა ნუგზარ ნადარაიას სახით დავკარგეთ საიმედო დასაყრდენი, უღალატო, ერთგული ადამიანი, რომლის არყოფნა დიდ კვალს დაამჩნევს ჩვენს ყოფა-ცხოვრებას. მისი ცხოვრება ხომ მომავლის იმედითა და სიმხნევით აღავსებდა გარშემო მყოფთ. ჩვენ ვალდებულნი ვართ, პატივი მივაგოთ მის ხსოვნას, ღვაწლსა და დამსახურებას.

ჯუმბერ პატიაშვილი, ოთარ ფაცაცია, ნოდარ ჭითანავა, გონდო ჯიქია, ბაკურ გულუა, რაულ ჩილაჩავა, სპარტაკ ქოგულია, გივი აბზიანიძე, გიორგი ნაჭყებია, ვახტანგ დავითაია, ვახტანგ ყოლბაია, გივი აბდუშელიშვილი, გურამ გუნავა, ჯემალ კუხალაშვილი, სულიკო ინაიშვილი, ზურაბ ერძვანია, ოთარ ჭითანავა, ვალერი ჭანტურია, რაულ ჯახია, მირზა ქორძაშვილი, თამაზ კუნჭულია, დემურ გადელია, ჯემალ კახიანი, გია დარჯანია, ვლადიმერ გვარჯალაძე, ტარიელ დგებუაძე, პეტრე ბერაია.

ფაზისქალაქის ერთგული მეცხოვნე

წავიდა მარადისობისკენ ჩვენი ამქვეყნიური ძმა და მეგობარი **ნუგზარ ნადარაია**. მისი ცხოვრების ბიოგრაფია ნაწილია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა. ოთარ ნადარაიას შთამომავალი ქართული სახელმწიფოებრიობის ერთიანობის შენარჩუნებისათვის იბრძოდა. მისი ცხოვრება გაჟღენთილია ეროვნული სულისკვეთებით, იშვიათია კაცი, რომელსაც ასე უყვარდა თავისი ქვეყანა, თავისი კუთხე — სამეგრელო.

ბატონ ნუგზარის ცხოვრება და მოღვაწეობა შეიძლება ორ ეტაპად დაიყოს: საერო-სახელმწიფოებრივ და ეროვნულ-სულიერ მოღვაწეობად. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის, მისი ისტორიის უკვდავყოფის, კოლხეთის, საქართველოს უწინარესი ისტორიის წარმოჩენა-კვლევის საქმეში. მან უდიდესი მუშაობა გასწია ამ მიმართულებით, როგორც „„ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტად ყოფნის დროს. გამოიცა აკადემიის ათი ტომი „ცოტნეიდელი“, რომელიც მიუძღვნა კოლხეთის ისტორიას. რაც შეეხება მის პიროვნულ-ადამიანურ ფაქტორს, მას უსაზღვროდ უყვარდა თავისი მშობლიური ქალაქი ფოთი და ფოთელები, სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწყვეტია მასთან კავშირი. მისი ინიციატივით ფოთში, სამეგრელოს მოედანზე დაიდგა ცოტნე დადიანის ძეგლი, როგორც საქართველოს ერთიანობის სიმბოლო. ხობში ბატონ ნუგზარ ნადარაიას რაიონის თავკაცად მოღვაწეობა ნათელი მაგალითია იმისა, რომ კარგი საქმის კეთება ყველა დროში შეიძლება. მან ხობის რაიონი გახადა ერთ-ერთ მოწინავე რეგიონად ყველა მიმართულებით. „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტად მოღვაწეობის დროს აკადემიის ინიციატივით წმინდანად შეირაცხა ცოტნე დადიანი და დავით აღმაშენებლის აღმზრდელი გიორგი ბედია-ჭყონდიდელი, რაც მიუთითებს მის დიდ სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე. აღსანიშნავია, რომ „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის საპატიო პრეზიდენტი არის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რაც უდიდესი სტიმული გახლავთ აკადემიის საქმიანობაში.

„ფაზისის“ აკადემიას უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-განმტკიცების, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების რეალურ დამკვიდრებაში, ეროვნული ინტერესების დაცვაში, ქრისტიანული რწმენის განმტკიცებაში. აკადემია სისტემატურად ატარებდა გამსვლელ სამეცნიერო სესიებს რეგიონებში. სპეციალურ ღონისძიებებს უძღვნიდა დიდ მამულიშვილთა იუბილეებს, რითაც უზრუნველყოფდა რეგიონების ერთიანობას, სულიერი და კულტურული კავშირების თვალსაზრისით. ბატონ ნუგზარს კიდევ ბევრი საშვილიშვილო საქმის გაკეთება შეეძლო, სამწუხაროდ, ასე მოულოდნელად წავიდა ამ მართლაც წუთისოფლიდან და დაგვიტოვა დიდი მეცნიერული მემკვიდრეობა. იგი განსაკუთრებით შეგვახსენებდა, რომ ვინც წარსულს ივიწყებს, მას არ ეკუთვნის ეს ქვეყანა. ბატონი ნუგზარი იბრძოდა ფოთის ისტორიული სახელწოდების აღსადგენად, რათა მას წოდებოდა ფოთი-ფაზისი. აკადემია, ასევე გამოდიოდა ინიციატივით დიდი ეროვნული მოღვაწის ზვიად გამსახურდიას წმინდანად შერაცხვის თაობაზე.

ნუგზარ ნადარაია იყო ქვეყნისთვის უმძიმეს დროს პარლამენტის წევრი და ერთ-ერთ წამყვან ფრაქციას ხელმძღვანელობდა, რითაც განაპირობებდა კონსესუსის მიღწევას იმ დაძაბულ პოლიტიკურ სიტუაციაში. ბატონ ნუგზარს განსაკუთრებით ეამაყებოდა ფოთის საპატიო მოქალაქეობა. იგი იბრძოდა, რათა ფოთი ყოფილიყო განსაკუთრებული სტატუსის მქონე ქალაქი, რომ ფოთი და ნავსადგური უნდა ყოფილიყო ერთიანი ინტეგრირებული ორგანიზმი, როგორც ამას დიდი ნიკო ნიკოლაძე განიხილავდა.

ბატონი ნუგზარი გახლდათ მეტად კეთილი, გულთბილი პიროვნება ყველას მიმართ, ის იყო მუდამ მოუსვენარი, ენერგიული, სიცოცხლით სავსე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, მრავალმხრივ განათლებული პიროვნება,. ყველასათვის დიდებული მასპინძელი და პატრონი, ჭირსა და ლხინში გვერდში მდგომი, მართლაც უღალატო დიდი კაცი და პიროვნება. ამიტომაც გვიჭირს მასთან განშორება, ის ყველასგან უდიდეს სიყვარულს იმსახურებდა.

ნუგზარ ნადარაიას — ამ მართლაც დიდი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

„ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემია

ჩემო ნუგზარ,

დაუშრეტელი ენერგიის, გადამდები ენთუზიაზმის და ქარიზმის კაცი იყავი. იღვწოდი, ოცნებობდი, მოქმედებდი. ერთი დღეც არ გქონია შენი სალოცავი სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის მცდელობის გარეშე. ძალიან დააკლდები არა მხოლოდ შენს ოჯახს და მეგობრებს, არამედ ქვეყანას. მუდამ ჩქარობდი, იჩქარე სიკვდილშიც. მარად გვემახსოვრები.

ნათელა და ვახტანგ დავითაიები

საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგია იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი

ნუგზარ ნადარაია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

სარედაქციო კოლეგიის წევრები — ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსები ნოდარ მეძმარიაშვილი, მერაბ ნიკოლაიშვილი, ვაჟა ნადირაშვილი, დავით დოღონაძე, ანზორ ჩოგოვაძე, გიორგი ავსაჯანიშვილი.

ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ქ. ფოთის ყოფილი მერი, ფოთის საპატიო მოქალაქე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი

ნუგზარ ოთარის ძე ნადარაია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სანთელი

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საზოგადოება „ცოტნეიდელის“ თავმჯდომარის, ჩვენი აკადემიის ნამდვილი წევრის, ღირსეული მამულიშვილისა და დიდი მოყვასის, საქართველოზე უზომოდ დამაშვრალი პიროვნების, აკადემიკოს

ნუგზარ ნადარაიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის მეუღლეს, ვაჟს, მეგობრებსა და ახლობლებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს განსვენებულის სული.

დიდი გულისტკივილით, აკადემიის სახელით,
აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი

თეიმურაზ ბაბუნაშვილი.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქართველი მეცნიერ-გეოლოგი, სასარგებლო წიაღისეულისა და გეოქიმიის განყოფილების ხელმძღვანელი, ძველი თაობის ცნობილი კალათბურთელი

მარენ კეკელია

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

ი.ხაზარაძის, ი. ოსიპოვის, გ. ცაგარელის და გ. ჯაიანის ოჯახები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, წარსულში ბრწყინვალე კალათბურთელი

მარენ კეკელია

და უსამძიმრებენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

სააქციო საზოგადოება“ თბიქალაქმშენი“, თეიმურაზ ჯანაშია, ანგელატ თოფურია, ვაჟა ადეიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მშენებელი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოში ინდუსტრიული მეთოდებით მონოლოითური მშენებლობისა და ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-გაძლიერების უახლესი მეთოდების ერთ-ერთი დამნერგავი, ყველა პიროვნული ღირსებით შემკული ადამიანი

გურამ გედევანიშვილი

და გულისტკივილით სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნაღობილევში სასმელი წყლის პრობლემაა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაღობილევში საპროტესტო აქცია გაიმართა. ადგილობრივები სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებას ითხოვენ. მოსახლეობამ პროტესტის ნიშნად ცენტრალური მაგისტრალი გადაკეტა, რის გამოც ავტოსატრანსპორტო მოძრაობა გარკვეული დროის განმავლობაში შეფერხებული იყო.

აქციის მონაწილეები ამბობენ, რომ თითქმის 40 წელია, წყალი არ მიეწოდებათ და მარაგს მეზობელი სოფლებიდან ეზიდებიან. ისინი ხელისუფლებას გულგრილობასა და უყურადღებობაში ადანაშაულებენ. აქციას ხელისუფლების მხრიდან არავინ გამოხმაურებია.

სამართალდამცველებმა გზა გახსნეს და ამ დროისათვის, ავტოსატრანსპორტო მოძრაობა აღდგენილია.

კახეთში 4 000 ტონა ყურძენია გადამუშავებული

4 სექტემბრის მონაცემებით, „რთველი 2020“-ის ფარგლებში, კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 4 ათასი ტონა სხვადასხვა ჯიშის ყურძენი.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ამ ეტაპზე, რთველის საკოორდინაციო შტაბში დარეგისტრირებულია ღვინის მწარმოებელი 140 კომპანია, ყურძნის გადამუშავების პროცესში უკვე ჩართული იყო 22 ღვინის საწარმო.

მათივე ცნობით, მიმდინარე წელს, COVID-19 პანდემიის შედეგად დაზარალებული მევენახეობა-მეღვინეობის დარგის მხარდასაჭერად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, რქაწითელისა და კახური მწვანის ჯიშის ყურძნის სუბსიდირება განხორციელდება.

„სუბსიდიას მიიღებს ღვინის კომპანია, რომელიც შეისყიდის და გადაამუშავებს კახეთის რეგიონში მოწეულ, არანაკლებ 1000 ტონა რქაწითელის, ან კახური მწვანის ჯიშის ყურძენს. ამასთან, შესყიდულ 1 კგ ყურძენში ყურძნის ჩამბარებელს გადაუხდის, არანაკლებ 0,80 ლარს. 1 კგ ყურძნის შესყიდვისას ღვინის კომპანიებზე გაიცემა სუბსიდია: 1 კგ რქაწითელზე და 1 კგ კახურ მწვანეზე — 0,30 ლარი“, — აცხადებენ სააგენტოში.

საქართველოდან თხილის ექსპორტი გაფორმდა

მიმდინარე წლის 3 სექტემბრის მონაცემებით, საქართველოდან 1 797 ტონა თხილია ექსპორტირებული. 2019 წლის ამავე პერიოდში, ექსპორტირებული თხილის რაოდენობა 991 ტონას შეადგენდა.

2020 წელს თხილის საპროგნოზო მოსავალი 50 ათასი ტონაა, ხოლო ექსპორტიდან მიღებული საპროგნოზო შემოსავალი, დაახლოებით 100 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. თხილის დაბინავების პროცესში ჩართულია 30-ზე მეტი საწარმო. მიმდინარე წელს, ქართული თხილი განსაკუთრებულად კარგი ხარისხით გამოირჩევა.

კორონავირუსის პანდემიით შექმნილი ვითარების მიუხედავად, ექსპორტიორებთან და თხილის მწარმოებელთა ასოციაციებთან აქტიური მუშაობის შედეგად საექსპორტო ბაზრებზე ხარისხიანი პროდუქციის მიწოდება ორგანიზებულად მიმდინარეობს.

ქართული თხილის ექსპორტი, ძირითადად, ევროკავშირის ბაზრებზე ხორციელდება, კერძოდ, გერმანიაში (460 ტონა), იტალიაში (423 ტონა), ჩეხეთში (154 ტონა), ესპანეთში (93 ტონა), პოლონეთში (66 ტონა), ლიეტუვაში (62 ტონა), ავსტრიაში (22 ტონა), ესტონეთში (22 ტონა), ლატვიაში (21 ტონა), საფრანგეთში (42 ტონა), საბერძნეთში (10 ტონა). რუსეთში (66 ტონა), უკრაინაში (61 ტონა), მექსიკაში (25 ტონა), ბრაზილიაში (24 ტონა), დიდ ბრიტანეთში (22 ტონა), ბელარუსში (21 ტონა) და სომხეთში (154 ტონა).

აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან, აზიური ფაროსანას და სოკოვანი დაავადებების გავრცელების შედეგად, თხილის წარმოება (შესაბამისად ექსპორტი) მცირდებოდა და 2018 წელს მინიმალურ ნიშნულს, 17 ათას ტონას მიაღწია.

წერილი რედაქციას

დასახლება ითხოვს!

1980-იან წლებში ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ მუშებისა და საინჟინრო-ტექნიკური თანამშრომლების, აგრეთვე რიგი ქართული ჟურნალ-გაზეთების ჟურნალისტების ძალისხმევით, დედაქალაქიდან 20 კილომეტრით დაშორებულ მთის პატარა სოფელ წყლულეთის მახლობლად შეიქმნა მებაღეობა-მებოსტნეობის ამხანაგობა. 160 ოჯახზე მეტი ამხანაგობის წევრთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ადამიანებს იზიდავდა ამ ადგილების არაჩვეულებრივი ბუნება, სუფთა ჰაერი. გამოჩნდა აგრეთვე მიწაზე მუშაობის, საკუთარი ხელებით, საკუთარი საჭიროებისთვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მცირე მოსავლის მოყვანის შესაძლებლობა. თუმცა ამას ყველაფერს ორი რამ უშლიდა ხელს — უგზოობა და უწყლოობა. ამხანაგობის დასახლებისკენ მიმავალ გზაზე მანქანით გავლა კი არა, ცუდ ამინდში ფეხით სიარული იყო ძნელი. გარდა ამისა, რაც ყველაზე მთავარია, არ იყო წყალი. გაზაფხულზე, სანამ წვიმა მოდიოდა, მწვანე ნარგავები თვალს ახარებდნენ, მაგრამ ივლის-აგვისტოსთვის გარშემო ყველაფერი გადამხმარი და ჩამკვდარი იყო, უწყლოობის გამო ნარგავები იღუპებოდა. დღეისთვის, საქართველოს მთავრობის გეგმის შესაბამისად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაჰყავს თბილისისა და სოფელ წყლულეთის დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გზა.

ადგილობრივი მოსახლეობა სიხარულით არის აღვსილი და გულწრფელ მადლობას უხდის პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას და ვიცე-პრემიერ მაია ცქიტიშვილს.უეჭველია, ახალი გზა ამ ადგილებს თბილისელთათვის უფრო მიმზიდველს გახდის. სამწუხაროდ, ამხანაგობის მცირე შეძლების, ძირითადად, საპენსიო ასაკის წევრებისათვის, გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება წყლის უქონლობა, რაც უაზროს ხდის მათ ნებისმიერ მცდელობას, ნაყოფიერი გახადონ თავიანთი მიწის ნაკვეთები. თხოვნით მოგმართავთ ბატონ გ. გახარიას და ქალბატონ მ. ცქიტიშვილს, ყურად იღოთ ჩვენი სავალალო მდგომარეობა და მონახოთ ამხანაგობის დასახლებაში არტეზიული ჭის გათხრის საშუალება, რომელიც დაკმაყოფილებდა ჩვენს მოთხოვნილებას სასმელ და მოსარწყავ წყალზე.

სერგი ნათიძე,
ამხანაგობის თავმჯდომარე.
სულ 156 ხელმომწერი.

გულთბილი მილოცვა

ნინი კუხალაშვილსა და ნუცა ჩაკვეტაძეს!

ჩვენ აღფრთოვანებული ვართ თქვენი წარმატებებით.

ყოველივე ეს განაპირობა თქვენმა გონიერებამ და სიბეჯითემ სწავლაში, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო. თქვენ გახდით ყველაზე ძლიერი, ყველაზე მცოდნე და ყველაზე განსწავლული აბიტურიენტები, რომლებმაც მიიღეთ უმაღლესი შეფასება და მოიპოვეთ სახელმწიფოს ხარჯზე უმაღლესი განათლების მიღების უფლება.

გილოცავთ სტუდენტობას!

დაე! ეს თქვენი პირველი, წარმატებული ნაბიჯი ყოფილიყოს პირადი ცხოვრების ბედნიერების გზამკვლევი და პროფესიონალ სპეციალისტად ჩამოყალიბების საწინდარი.

უფალმა გზა გაგინათოთ განათლებისკენ!

ულრმესი სივარულით
მერი ბებო და გიზო (გენადი) ბაბუ
კუხალაშვილები

„გვირაბი“ ტრენტოს კინოფესტივალის გამარჯვებულია

ნინო ორჯონიკიძისა და ვანო არსენიშვილის დოკუმენტური ფილმი „გვირაბი“ ტრენტოს საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულია.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით ფილმს გადაეცა ფესტივალის მთავარი ჯილდო „ოქროს ენციანი“ (Golden Gentian).

ფილმის რეჟისორები დაჯილდოების ცერემონიას ონლაინ ფორმატში დაესწრნენ და ფესტივალის სტუმრებს საქართველოდან მიესალმნენ.

ფილმში მოქმედება ვითარდება ხარაგაულის რაიონში, „მოლითის“ სარკინიგზო სადგურის გარშემო. საქართველოს რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, ჩქაროსნულმა მატარებელმა ჩინეთი საქართველოს გავლით ევროპასთან უნდა დააკავშიროს, რაც პატარა სოფლების ცხოვრებას თავდაყირა აყენებს.

„გვირაბის“ მსოფლიო პრემიერა 2019 წელს შედგა ამსტერდამის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე (IDFA). ფილმი საქართველო-გერმანიის კოპროდუქციაა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს გერმანელი ტურისტები სტუმრობენ

გერმანელი ტურისტები ტურისტული კომპანია Visit Georgia-ს მიერ ორგანიზებული ტურით ჩამოვიდნენ და საქარველოში 2 კვირის განმავლობაში დარჩებიან.

Visit Georgia-ში განმარტავენ, რომ ტურისტულმა ჯგუფმა საქართველოში ჩამოსვლა რამდენიმე დღის წინ გადაწყვიტა და ისინი თბილისში ავიაკომპანია Lufthansa-ს მიუნხენი-თბილისის რეგულარული რეისით ჩამოვიდნენ.

4 კაცისგან დაკომპლექტებულ ჯგუფს 2 კვირის განმავლობაში საქართველოს ტურისტული ღირსშესანიშნაობების მონახულება აქვს გადაწყვეტილი და გაწერილი გეგმის მიხედვით, ჯგუფმა ქვეყანაში გადაადგილება/მოგზაურობა უკვე დაიწყო.

COVID-19-ის პანდემიის შემდეგ ეს Visit Georgia-თვის პირველი ჯგუფური ტურია, რომელსაც მასპინძლობას უწევს. კომპანიაში განმარტავენ, რომ რამდენიმე დღეში ტურისტულ ჯგუფებს გერმანიის გარდა საფრანგეთიდანაც ელოდებიან.

ახალი დასასვენებელი სივრცე

ვაკის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, დასასვენებელი სივრცეების კეთილმოწყობა გრძელდება. ამჯერად, სარეაბილიტაციო სამუშაოები ვაჟა-ფშაველას IV კვარტლის №4-5 კორპუსის მიმდებარედ მიმდინარეობს.

თბილისის მერიის ინფორმაციით, პროექტის თანახმად, ვაჟა-ფშაველას გამზირის ერთ-ერთ ცენტრალურ ზოლში 4 200-მდე კვ.მ ფართობის დასასვენებელი სივრცე განახლდება.

სამუშაოების შედეგად, ტერიტორიაზე განთავსდება საბავშვო სივრცე კომპლექსური ატრაქციონებით, დასასვენებელი პავილიონი და სხვა ურბანული ავეჯი. მოეწყობა განათების ქსელი, ბილიკები, დაიგება კენჭის ხალიჩის, ასევე, კაუჩუკის მონოლითური საფარი დრენაჟის ფუნქციით. სკვერში დაირგვება სხვადასხვა სახის მცენარე და ბალახი.

ადგილობრივ მცხოვრებლებს ვაკის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი დავით კვინიკაძე შეხვდა.

„ვაჟა-ფშაველას კიდევ ერთი კომფორტული და გამწვანებული სივრცე შეემატება, რაც სასიხარულოა ჩვენთვისაც და ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც. ეს სკვერი გამზირის ცენტრალურ ზოლშია, ამიტომ, დარწმუნებული ვარ, მუდმივად იქნება შევსებული ხალხით, არა მარტო აქ მდებარე კორპუსებიდან, არამედ სხვა მისამართებიდან“, — განაცხადა დავით კვინიკაძემ. დასასვენებელი სივრცის რეაბილიტაციის პროექტის ღირებულება 300 000-მდე ლარს შეადგენს.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ოცდამეხუთე ფილმი ჯეიმს ბონდზე

სტუდია Universal Pictures-მა ჯეიმს ბონდის შესახებ 25-ე ფილმის „სიკვდილის დრო არ არის“ ახალი ტრეილერი წარადგინა.

სცენარის მიხედვით, ჯეიმს ბონდი, რომლის როლსაც ზედიზედ მეხუთე ფილმში დენიელ კრეიგი ასრულებს, გადადგომის შემდეგ კვლავ სამსახურში ბრუნდება. მას დახმარებას ძველი მეგობარი, აშშ-ის დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს აგენტი ფელიქს ლეიტერი სთხოვს.

ფილმში ასევე მონაწილეობენ რამი მალეკი, ლაშანა ლინჩი, კრისტოფ ვალცი, ლეა სეიდუ, რეიფ ფაინსი და ჯეფრი რაიტი, რეჟისორი კი კერი ფუკუნაგაა.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა სამშაბათს, 8 სექტემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0782; ევრო - 3.6372;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0811;
100 რუბლი - 4.0819; თურქული ლირა - 0.4138;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8120;
1000 სომხური დრამი - 6.3201.

ამინდი 5 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+31
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+19,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+15,	დღე	+30
თბილისი:	ღამე	+21,	დღე	+32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge